საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 5 დეკემბერი. 2017 წ. №246 (8383), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მკვლელობა, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა

მეორე არასრულწლოვანი გამოძიებას ჩაბარდა

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, რომელსაც გუშინ წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, სამართალდამცველებს ჩაბარდა. ამასთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს:

2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული მეორე არასრულწლოვანი — გ. ჯ. გამოძიებას ჩაბარდა. აღსანიშნავია, რომ დღეს სასამართლომ ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ერთ-ერთ ბრალდებულს, არასრულწლოვან გ.ბ.-ს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ხოლო მეორე არასრულწლოვანს — გ.ჯ.-ს წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა.

გამოძიების ამ ეტაპისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოვლენილი და დაკავებული ჰყავს მკვლელობის 2 ძირითადი ფიგურანტი. ასევე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული დანაშაულში მონაწილე სხვა პირები. საქმეში ჩართული დანარჩენი პირების სტატუსის განსაზღვრა/გადაკვალიფიცირებისთვის გამოძიება გრძელდება.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გამოძიების პროცესში თითოეული სამართალდამცველის მიერ გათვალისწინებული იყო საქმის სენსიტიურობა, მასში არასრულწლოვნების მონაწილეობის გამო. შინაგან საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის ყველა პოლიციელს, რომელთა 24-საათიანმა, ინტენსიურმა მუშაობამ უზრუნველყო საქმის გამოძიება და ბრალდებულების დაკავება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ორი მოზარდის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მთელ საზოგადოებასთან ერთად, აქტიურად იმუშავებს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის გატარებაზე, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ტრაგიკული შემთხვევა“. — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც შსს ავრცელებს.

იხ. 3 გვ.

საზოგადოებამ ძალადობას ნულოვანი ტოლერანტობა უნდა გამოუცხადოს!

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში აცხადებს, რომ ყოველგვარ ძალადობას საზოგადოება ნულოვანი ტოლერანტობით უნდა შეხვდეს. მმართველი გუნდის დეპუტატი ხორავაზე მომხდარ მკვლელობას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა:

„ეს არის შედეგი იმ სისტემისა, რომელშიც როგორც მშობლების, ასევე, პედაგოგთა მხრიდან არის მისაღები ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც გამოუცხადებს ნამდვილად ნულოვან ტოლერანტობას ძალადობის ყველა ფორმის გამოვლენას,“ — განაცხადა მარიამ ჯაშმა.

სოფელ კარალეთში 68 წლის ქალი მოკლეს

გორის რაიონის სოფელ კარალეთში 68 წლის ქალი მოკლეს. გარდაცვლილი მოხუცი საკუთარ სახლში მეზობლებმა იპოვეს. მათი თქმით, ქალი, სავარაუდოდ, დააყაჩაღეს. ადგილზე გვიანობამდე მუშაობდნენ პოლიცია და ექსპერტ-კრიმინალისტები.

„და გზა ყვავილით შენვან ივლილი...“

ნიკოლოზ ბარათაშვილის განახლებული მემორიალური სახლ-მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა

თბილისს პირველი მულტიმედიური სამუზეუმო სივრცე შეემატა. ნიკოლოზ ბარათაშვილის განახლებული მემორიალური სახლ-მუზეუმი გუშინ საზეიმოდ გაიხსნა, რომელსაც დედაქალაქის მერი კახა კალაძე დაესწრო. როგორც კახა კალაძემ ღონისძიებაზე აღნიშნა, თბილისის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არსებული კულტურული ძეგლების შენარჩუნება და მოვლა-პატრონობაა.

„ძალიან გახარებული ვარ. თქვენ თვითონ ხართ მოწმე, როგორ არის ყველაფერი გაკეთებული ტექნოლოგიურადაც. 33 ანიმაცია მართლაც საოცრებაა, რაც აქ მოსულ დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს, ყველაფერი რეალობაში აღიქვას. ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც გაგვაჩნია, ჩვენი კულტურა და ტრადიციებია, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდება. შესაბამისად, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ამ მიმართულებით მუშაობა იქნება, რათა მომავალ თაობას ეს ყველაფერი მოვლილი და მოწესრიგებული გადავცეთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, მისასალმებელია, რომ „იუნესკომ“ ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებათა ნუსხაში შეიტანა.



იაკობ ლეჟავა: პარადოქსული ფაქტებიდან გამომდინარე კითხვა-პასუხები

4

6

თამარ შაიშმელაშვილი: „შენ საქართველოს გულს ეფერები“

გელა ქოქიაშვილი: გიორგი შავგულიძის ელვარე ნიჭიერება

9

შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი საქართველოში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, რუსეთის ანექსიური, აგრესიული, პროვოკაციული ქმედებები და შვეიცარიის განსაკუთრებული როლი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხებში — აღნიშნული თემები გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტთან დორის ლოიტჰარდთან პრეზიდენტის სასახლეში პირისპირ შეხვედრისას განიხილა.

საქართველოს პრეზიდენტმა ორ ქვეყანას შორის არსებული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობის განხილვის თვალსაზრისით შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტის ვიზიტს მნიშვნელოვანი უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველო-შვეიცარიის 25-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობები წარმატებით ვითარდება.

გიორგი მარგველაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა შვეიცარიის მხარდაჭერის მნიშვნელობა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხში და მადლობა გადაუხადა დორის ლოიტჰარდს შვეიცარიის მიერ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შესრულებული უმნიშვნელოვანესი მისიისათვის — შუამავლის როლისა და საქართველოს ინტერესების მხარდაჭერისათვის.

საქართველოს პრეზიდენტმა შვეიცარიელ კოლეგას რუსეთთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ მიუხედავად საქართველოს პოზიტიური ნაბიჯისა, რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკურ ასპექტში პროგრესი არ არის და მნიშვნელოვანია, რომ შვეიცარია, როგორც შუამავალი ქვეყანა, ფლობდეს ობიექტურ ინფორმაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოხატა შეშფოთება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმდინარე ოკუპაციასა და ანექსიასთან დაკავშირებით.

გმადლობთ, მედიატორის ფუნქციის შესრულებისთვის!

— მე ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ თქვენი მთავრობის საქმიანობას, რადგანაც თქვენს მიერ განხორციელებული რეფორმები მართლაც შთამბეჭდავია, — ამის შესახებ შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა დორის ლოიტჰარდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა. მხარეებმა სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების შესახებ ისაუბრეს.

პრემიერ-მინისტრმა შვეიცარიას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის და საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში მედიატორის ფუნქციის შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

„ქალბატონო პრეზიდენტო, ჩემთვის ძალიან სასიხარულოა საქართველოს დიდი და მნიშვნელოვანი მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტის მასპინძლობა. ძალიან მოხარული ვარ, რომ გვაქვს ეს შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ საქართველოს და მისი მისწრაფებების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის, ასევე იმ მნიშვნელოვანი როლისთვის, რომელსაც 2008 წლიდან მოყოლებული თქვენ ასრულებთ კონფლიქტების პოლიტიკური გზით გადაჭრის პროცესში. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამას. ჩვენ მივესალმებით შვეიცარიასა და საქართველოს შორის ორმხრივი კავშირების განმტკიცებას, ასევე სასიხარულოა ჩვენს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდა. ჩვენ ძალღონეს არ ვიშურებთ თქვენს ქვეყანასთან ორმხრივი პარტნიორობის განსამტკიცებლად. დიდი მადლობა, რომ, დაპირებისამებრ, ეწვიეთ საქართველოს“, — მიმართა გიორგი კვირიკაშვილმა დორის ლოიტჰარდს.

ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების შესახებ ისაუბრა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა.

ძლიერი ევროპის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია!

თბილისში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე „ევროკავშირი და პარტნიორები“ სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გამოვიდა. მან კონფერენციაში მონაწილე დელეგაციებს მადლობა გადაუხადა და ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„დღევანდელი შეკრება გამორჩეულია იმით, რომ ერთ სამუშაო სივრცეში აერთიანებს ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების, ასევე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს, ევროპარლამენტის წარმომადგენლებს და ასევე, ცნობილ ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. ასეთი მრავალფეროვნება გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის, ასევე პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ საერთო გამოწვევების ფონზე, რომლის წინაშეც დღეს ევროკავშირი და მისი სამეზობლო დგას,“ — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ერთიანი და ძლიერი ევროპის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია.

„ყველა ჩვენგანის მიზანია, ერთობლივი ძალისხმევით შევინარჩუნოთ ერთიანი, ძლიერი ევროპა, რომელიც, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, მზად იქნება, კარი გაუღოს საქართველოს და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს. ევროკავშირის ტრანსფორმაციის ძალა და ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა იქცა საქართველოს რეფორმებისა და მოდერნიზაციის ქვაკუთხედად, ჩვენი შიდა და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად, რომლის მიზანია დემოკრატიული, განვითარებული ევროპული სახელმწიფოს მშენებლობა. მოგეხსენებათ, კვლავ მძიმეა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება და ამავდროულად, მასობრივად ირღვევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების უფლებები. ამასთან ერთად, საქართველოსაც აქტიურად უწევს თანამედროვე მსოფლიოს ისეთ გამოწვევებთან ბრძოლა, როგორიც არის ჰიბრიდული საფრთხეები და პროპაგანდა. ამ ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდაცია და მეტი ჩართულობა შეიძლება დავუპირისპიროთ,“ — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

ევროკავშირთან ინტეგრაცია და ევროინტეგრაციით განპირობებული ცვლილებების დადებითი შედეგებისა და გამოწვევების განხილვა — ეს არის ის ორი ძირითადი საკითხი, რომლებზეც საერთაშორისო კონფრენციის მონაწილეები თბილისში ორი დღის განმავლობაში იმსჯელებენ.

მსოფლიო ბანკი განაგრძობს საქართველოს დახმარებას მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალის განახლების მიმართულებით

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესებისთვის მსოფლიო ბანკმა დამატებითი ფინანსური რესურსი გამოყო.

2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გაფორმდა შეთანხმება „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფ-

ნის გაუმჯობესების პროექტის დამატებითი დაფინანსების“ შესახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემბონმა. პროექტის ფარგლებში გამოყოფილი 16.9 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსით, ევროპის საინვესტიციო ბანკთან ერთად გათვალისწინებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის ჩუმათელეთიდან ხევამდე, დაახლოებით, 11-კილომეტრიან მონაკვეთზე არსებული ორზოლიანი გზის გაუმჯობესება ოთხზოლიან მაგისტრალად. სამშენებლო სამუშაოების დასრულება 2020 წლისთვის იგეგმება.

დაზვერვის სამსახური უსაფრთხოების სამსახურს აღარ შეუერთდება

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გახდა ცნობილი.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, კანონპროექტის პაკეტიდან აღნიშნული საკითხი მთავრობამ უკან გაიწვია. **„კანონპროექტების პაკეტში შედიოდა 112 პროექტი და 12 აქედან გაწვეულია. ერთ-ერთი შეეხება დაზვერვის სამსახურს.**

საუბარია იმაზე, რომ დაზვერვის სამსახური უნდა შეერთებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით შედგა საპარლამენტო კონსულტაციები და ამის შემდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ იქნას გაწვეული შესაბამისი ნაწილი პაკეტის“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

2017-2018 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველოს ორგანიზებით 2017— 2018 წლის ათასწელულის ინოვაციის კონკურსის გამოცხადების ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას დაესწრნენ აშშ-ის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება, ბატონი იან კელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დონორი ორგანიზაციების და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი უკვე მეოთხე წელია წარმატებით ტარდება. კონკურსში 900-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე პროექტით უკვე დაინტერესდა კერძო სექტორი. ასევე, აღსანიშნავია, რომ კონკურსის გამარჯვებული და მონაწილე გუნდები ხშირად სწავლას განაგრძობენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონკურსის შედეგები გვაჩვენებს, რომ ჩვენს ახალგაზრდებში არის მაღალი ინტერესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართ, გვყავს ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამომგონებელი.“ — ამბობს მაგდა მაღრაძე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი. ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით ხორციელდება.



მკვლელობა, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა

ამ წერილს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ერთი სტატუსით დავიწყებ:

შემაძულეს სიტყვა „ნაციონალური“, შემაძულეს სიტყვა „ცისფერი“ და ცისარტყელა. ვერ ვიტან როცა ახსენებენ „სამოქალაქო საზოგადოებას“.

„მონიტორინგის“ გაგონებაზე ხომ საერთოდ ცუდად ვხდები.

როცა მესმის „ფსიქოლოგის ჩართულობა“ – საშინელი რეაქცია მაქვს. მიწასთან გაასწორეს ლიბერალიზმი და შემწყნარებლობა ხოლო სიტყვა „შეშფოთება“ დასაცინი გახდა. მძულს სიტყვა „შოუ“, სადაც ცხოველს გააფთრებით აშიშვლებენ ყველაფერს წმინდას, სასიხარულოს თუ ტრაგიკულს.

„ბდსმ“ (სექსუალური ორგია) სტილში გააუპატიურეს ხელოვნება და ამით შემაძულეს წიგნი, მუსიკა, მხატვრობა... ყველაფერი გასვარეს, დაჩეხეს, მოსპეს. ახლა აღარ იციან, რა ქნან, რას მოეპოტინონ თავიანთი ბინძური ხელებით და შეურაცხყონ.

ახლა თაობებს მიადგნენ. ჩემი თაობის ხალხი მკვლელებად, აგრესიული ცნობიერების ხალხად გამოვყავართ. დღევანდელი თაობა – მოძალადეებად.

არადა, ჩვენი თაობის გვამებზე გადავლით იშოვეს ფული, სტატუსი და ახალი თაობის სისხლის წოვით იკმაყოფილებენ ვამპირულ ვნებებს.

არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ ასე რომ აღარ უნდა დარჩეს – უეჭველია!

* * *

დიახ, მართლაც, საშინელებაა რაც მოხდა. ძალიან დიდი უბედურება და ახლა მიდის „მსჯელობა“, თუ რისი ბრალია ის, რაც მოხდა.

ისმის ლოზუნგები, რომ მანდატურებს უნდა გაეზარდოთ მოქმედების არეალი, ისმის ლოზუნგები, რომ ფსიქოლოგებმა უნდა იმუშაონ, ისმის ლოზუნგები, რომ ოჯახი უფრო უნდა ჩაერთოს ბავშვების აღზრდაში დ.ა.შ.

კი, ბატონო, გასაგებია, მაგრამ ერთი ფრაზა მახსენდება ცნობილი რუსული ფილმიდან: – ის ახალგაზრდები დეპრესიული რეგიონიდან ჩამოვიდნენ.

დიახ, ფრაზა **„დეპრესიული რეგიონი“!**

არავინ ამბობს იმას, რომ თბილისი და საქართველო დღეს გამოკვეთილად დეპრესიულია. მოსახლეობის 80 პროცენტი ვალებში იხრჩობა, მასობრივი უმუშევრობა და დასაქმებულთა მიზერული შემოსავალი ანადგურებს ადამიანთა ფსიქიკას. განათლების სისტემის სრული სტაგნაცია. აგრესიული ლიბერალიზმი და სადისტურად მოქმედი, ე.წ. ლიბერალური კანონები, რომლებიც თავშივე გამორიცხავს ადამიანის მიმართ დახმარებას (უმარტივესი მაგალითი: ფეხმძიმე ქალი, სამ ბავშვთან ერთად, იმ წამს დაძრულ ლურჯ ავტობუსთან რომ მივიდეს, ჰალსტუხიანი მძღოლი კარს არ გაუღებს, იმიტომ რომ აკრძალული აქვს და სავარაუდო ჩამშვების ეშინია).

და კიდევ უამრავი რამ, რომლებიც უფრო მძაფრდება და აძლიერებს დეპრესიას, ამ ე.წ. „გასართობი“ შოუებით, რომლებიც სოციალურ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებენ და აგრესიაში გადასულ დეპრესიას ამძაფრებენ (არადა ამ ე.წ. გასართობ შოუებში „მხიარულად“ მონაწილე ხალხი, თავიანთ „საამურ ცხოვრებაზე“ მეტწილად იტყუება, რადგანაც მათს უმრავლესობას სულაც არა აქვს დალხენილი ცხოვრება).

არ შეიძლება ავადმყოფის გადარჩენა მხოლოდ გაკრახმალებული თეთრეულით და ლოზუნგებით. მას, პირველ რიგში, ზუსტი დიაგნოზი და ზუსტი მკურნალობა სჭირდება.

სამწუხაროდ, დიაგნოზი ჯერ არ თქმულა და მხოლოდ თეთრეული ფრიალებს.

* * *

კიდევ ერთი სტატუსი:

ძალიან რთულ თემას უნდა შევეხო:

ისევ „დიდმა“ ქართველმა მწერლებმა ლაშა ბუღაძემ და დათო ტურაშვილმა შთამაგონეს. დილაადრიან დაგვეხატნენ, გუშინ მომხდარი ტრაგედია (მოსწავლეთა მკვლელობა) „გააანალიზეს“, დაუფარავი ზიზღით ისაუბრეს ქუჩაზე და აღნიშნეს, რომ ეს საშინელი ტერმინი, რომელიც მარტო საქართველოშია – „ქუჩის აკადემიაა“ ყველაფერში დამნაშავეო. გაიხსენეს, 90-იანი წლები, პარალელი გაავლეს გვანცა ღამბაშიძის მკვლელობასთან, გოგონებს მოუწოდეს, არ შეიყვაროთ „ძველი ბიჭებიო“...

კიდევ ერთხელ, ცდებიან ძვირფასი „მწერლები“. ასე როყიოდ, ზედაპირულად, პრობლემაზე „ცეკას“ ინსტრუქტორი თუ ისაუბრებდა, მაგრამ ხელოვანს და მით უმეტეს, „მწერლობაზე“ პრეტენზიის მქონეს არ ეკადრება.

პირველ რიგში, მინდა ვუთხრა „მწერლებს“, რომ 90-იან წლებში კი არა, ყიზილბაშების შემოსევისას არ ხდებოდა ასეთი სადისტური მკვლელობები. გვანცა ღამბაშიძე ბრმა ტყვიას ემსხვერპლა, გუშინ კი ორი მოზარდი ისე დაჩეხეს დანებით, რომ „რესპუბლიკური“ საავადმყოფოს მთავარი ექიმი თავზარდაცემული ყვიროდა, ასეთი სადიზმი, ცხოვრებაში არ მინახავსო.

90-იანი წლები, ომის წლები იყო. ანარქია, ქაოსი და ხალხში დაგროვებული, დიდი რაოდენობით იარაღი იყო მაშინდელი განუკითხაობის მიზეზი, თორემ მკერდის არეში ათეულობით მიყენებული ჭრილობებით, ორი მოზარდის მკვლელობას მე კი არა, ვახტანგ რაზმაძეც კი ვერ გაიხსენებდა. ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობა სრულიად განსხვავდება ცივი იარაღით ჩადენილისგან, რადგან დამნაშავე, რაც უნდა გათვითცნობიერებული იყოს იარაღებში, მაინც აბსტრაქტულად აღიქვამს გასროლილი ტყვიის შედეგს, ხოლო სადისტს, რომელიც დანის მრავალი დარტყმით კლავს თანატოლს, სრულად აქვს გაცნობიერებული მოსალოდნელი შედეგი და სურს მისი დადგომა.

რაც შეეხება „ქუჩას“: უცხოეთში „ქუჩის აკადემია“ ვერ ერქმევა, რადგან „ქუჩა“, მხოლოდ ქართულადაა „ქუჩა“ და ადამიანი, თუ სწორ იდეალებზეა გაზრდილი, ქუჩა კი არა, ტაიგა ვერ გადააგვარებს. რა შუაშია „ძველ ბიჭობა“? არც ერთი „ძველი ბიჭი“ ამას არ ჩაიდენდა. ქუჩაში ცხოვრობდნენ ფიროსმანი, გალაკტიონი, სერვანტესი, შუკშინი და კიდევ მილიონი გენიოსი.

„ქურდები“ და „ძველი ბიჭები“ საბჭოთა მილიციელების შემოღებულია, სწორედ, იმიტომ, რომ ქუჩა გაეკონტროლებინათ და მშვენივრადაც ახერხებდნენ ამას. რაც გუშინ მოხდა, „ქუჩის აკადემიის“ და „ძველბიჭობის“ კი არაა, „ქუჩის აკადემიის“ აღარარსებობის და „ძველი ბიჭობის“ ცნების გადაგვარების ბრალია.... მთავარი მაინც ის არის, რომ ახალგაზრდობას არასწორი იდეალებით ვზრდით და მათში სიკეთის რწმენა არ არსებობს. ეს კი ყველა სფეროში გამეფებული სიყალბის ბრალია, რასაც ბავშვიც ამჩნევს და მოზარდიც: ყალბი ღიმილი, რომელიც დამშვიდობებისთანავე გაუქრებათ ხოლმე სახეზე, ყალბი სიკეთე, რომელიც ძირითადად, გამორჩენის მიზნითაა ჩადენილი, ყალბი იდეალები – ტოლერანტობა, ჰომოფობია, ქსენოფობია, გენდერული თანასწორობა, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ყველაფერი უცხოურის ქება-დიდება, მარიხუანის ლეგალიზება, ყველანაირი იდეალის, ავტორიტეტის და რწმენის ნგრევა – მათი საყვარელი მომღერლები მორფინისტები ყოფილან, საყვარელი სპორტსმენები – ყაჩაღები, საყვარელი მწერლები – ჰომოსექსუალები. ასე აშიშვლებენ ყველაფერს, რასაც პლურალიზმით ამართლებენ, არადა, ახლაც ვინახავ ჩემი საყვარელი ჯო დასენის „ავადსახსენებელი“ „კომუნისტების“ მიერ გამოშვებულ ვინილს, რომელსაც უკანა მხარეს ეწერა, ჯო დასენი ავტოავარიაში გარდაიცვალაო და მხოლოდ რამდენიმე წელია, გავიგე, რომ თურმე „პერედოზით“ გარდაცვლილა! ახლა გეკითხებით, რა შემმატა მე ამ ინფორმაციამ? ჩემდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ „კომუნისტები“ ბევრად უკეთ ზრუნავდნენ მოზარდი თაობის სწორად აღზრდაზე, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს დღევანდელი თუ გუშინდელი „ბელადები“!

დღეს მოზარდი, რომელსაც წიგნი არ უყვარს (სამწუხაროდ, ასეთი უამრავია), განწირულია, რადგან თუ ჩემს ბავშვობაში, ის მულტფილმს, ან კინოს მაინც უყურებდა გემოვნებიანს და სწორ იდეალებზე გადაღებულს, დღეს, „გრენდაიზერებს“ და „ხერხს“ უყურებს და კომპიუტერში პაოლო კოელიოს და ო’შოს უაზრო, ცარიელ სიტყვებს პოსტავს.

დავიჯერო, „ქუჩის აკადემია“ ჰქონდათ გავლილი და „ძველი ბიჭები“ იყვნენ, ძმები ახალაიები, მეგის ქარდავა, ალექსანდრე მუხაძე და გლდანის ციხის მთელი პერსონალი? ისინი სადისტები იყვნენ და არიან! ისეთივე სადისტები, როგორიც იყო ჰერმან გებელსი, ჩიკატილო, ბრეივიკი და გუშინდელი მკვლელობის ჩამდენნი.

არ უშველის ამას, არც სკოლის დირექტორის და მანდატურების მოხსნა და არც განათლების სისტემის გამკაცრება.

გამოსავალი მოზარდი თაობის სწორ, ჯანსაღ იდეალებზე აღზრდაშია, რასაც მოაზროვნე და ინტელექტუალ ადამიანთა გადაწყვეტილებები სჭირდება. 2003 წლის შემდეგ კი მე, ასეთს ვერ ვხედავ – რა თქმა უნდა, მათ შორის, ვისაც გადაწყვეტილების მიღება ხელეწიფება.

...და, გოგონებო, სამართლიანი „ძველი ბიჭები“ და გამოუსწორებელი ფანტაზიორები შეიყვარეთ და არა, მამიკოს „თამასუქებით“ ნაყიდ X6-ზე მომსხდარი, რძესა და „ბულკზე“ გაზრდილი „პიონერები“!

ცხადია, ე.წ. ანალიტიკოს-ექსპერტები მაშინვე ჩაერთნენ ამ ტრაგედიის განხილვაში და მიზეზებსა, თუ ხელისუფლების მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე „ისაუბრეს.“

იმ კვესიტაძესთან ვიღაც „ფსიქოლოგმა“ მაია ცირამუამ, მშობლებს თავისი არსით უსაზიზღრესი შეკითხვა დაუსვა – **გაარკვიეთ, ვისთან მეგობრობს თქვენი შვილი!**

ამ უსინდისო და თავად მოძალადე „ფსიქოლოგის“ აზრით, არსებობენ ბავშვები, ვიმეორებ: ბავშვები!!! ვისთანაც ჩემმა შვილმა არ უნდა იმეგობროს, ანუ იმათ თავიანთი სოციუმიდან, არაევროპულად განათლებული, ანუ ინგლისურის არმცოდნე მშობლების გამო, იმის გამო, რომ ცეკვაზე, მუსიკაზე, ფრანგულზე არ დადიან!!! **უკვე დამღა დაადო!**

მან უკვე გაწირა ის ბავშვები იმისთვის, რომ გახდნენ კრიმინალები და მოძალადეები (ნამდვილად არ ვიცი ამ „ფსიქოლოგის“ შინაგანი ბუნება, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ის ანთროპოლოგიურად და ფსიქოტიპით აშკარად ლომჯარია-გიგაურის მრევლია).

„უსაფრთხო სკოლის პროგრამას“ და მანდატურის ინსტიტუტს აქებდა ხატია დეკანოიძე. ის ხატია დეკანოიძე, რომელმაც ეს მანდატურები „ნადზორებად“, მასწავლებელთა მტრებად, საკონცენტრაციო ბანაკების ესესელებად „აღზარდა“ და სკოლებში სადამსჯელო ფუნქციებით დესანტად გადასხა! და მშვიდობიან აქციებზე იარაღით მოსიარულე ადეიშვილის ყოფილი მოადგილე და ეშმაკების ადვოკატი ოთო კახიძე თავს უკანტურებდა.

არც ერთს არ გასჩენია შეკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოსპეს განათლების სისტემა ვინმე ლომაიამ, ნოდიამ, თავად ხატია დეკანოიძემ და მათმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ.

და ბოლოს, მინდა, მივმართო ამ გულაჩუყებულ ექსპერტებს:

თქვენ ხომ არ გაჟრიალებთ?

რა ფსიქოლოგი და რის სოციალური მუშაკი? სახარების სწავლება აკრძალეთ და რაღაც სისულელეებს უტენით ბავშვებს თავში.

„ფსიქოლოგების ჩართულობასთან“ ერთად, რამე ბენდიც მიიყვანეთ და გაკვეთილები „ნანუკას“ ჩაატარებინეთ. მანდატურებს იარაღი დაურიგეთ, სკოლები მავთულხლართებით შემოღობეთ და გერმანული ნაგაზებით აწარმოეთ პატრულირება.

ფსიქოლოგი კი არა, წესიერი პედაგოგები აღვზარდოთ, ისეთი პედაგოგები, წიგნი, სიკეთე, რაინდობა, სპორტი რომ შეაყვარონ ბავშვებს!

გაიგეთ, რომ რეფორმა არც ახალი კომპიუტერების შეძენა და არც „უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების“ უაზროდ გაზრდა არ არის!.

რეფორმა ნამდვილი განათლების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, დისციპლინის, შინაგანი პასუხისმგებლობის, შრომის სიყვარულის და ნორმალური, ადამიანური ცხოვრების სწავლებაა.

ნორმალური ადამიანური ცხოვრების სწავლება და არა მწამებელი ნაცების ტელეკრანიდან ჯოჯოხეთის მომწყობი გვარამიას და სექსუალურად გადაგვარებული ტუალეტის მჯღაბნელების მაგალითზე აღზრდა!

და როგორც კი შეიცვლება ეს ამაზრზენი მდგომარეობა, მაშინვე შეიცვლება იმ თაობის სახე, რომელიც მოდის და აპირებს ამ ქვეყნის გადარჩენას.

გია გაბრიჭიძე

უმადურობა საკუთარი ხალხის მიმართ!

ვირო, მადლი!..



პარადოქსული ფაქტებიდან გამომდინარე კითხვა-პასუხები

1. აქვს საქართველოს პრეზიდენტს პირადი შეხედულებით, სასამართლოს განაჩენის გარეშე, ვინმეს ციხეში ჩასმის უფლება?

ბევრი გაიკვირვებს კიდეც – ამას რა კითხვა უნდა, ამის უფლება, რა თქმა უნდა, არც საქართველოს პრეზიდენტს და არც სხვა პრეზიდენტებს არა აქვთ, ამის უფლება და შესაძლებლობა მხოლოდ მეფეებს ჰქონდათ ოდესღაცო.

კეთილი და პატიოსანი, მაშინ იბადება მეორე კითხვა: თუკი პრეზიდენტს ციხეში ჩასმის უფლება არა აქვს, ციხიდან გამოშვების (შეწყალების) ერთპიროვნული უფლება, ხშირად, ე.წ. შეწყალების კომისიის გვერდის ავლითაც, რატომ უნდა ჰქონდეს?! მეფეა თუ ნახევრად მეფეა?!

ყველანაირი ლოგიკით ნებისმიერი პატიმრის შეწყალების თუ სასჯელის შემცირების (შემსუბუქების) უფლება ისევ და ისევ სასამართლოს (ან სასამართლოსთან არსებულ მოსამართლეებისგან შემდგარ სპეციალურ კომისიას) უნდა ჰქონდეს და არა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან დაკომპლექტებულ შეწყალების კომისიას, რომელსაც ხან რას აბრალებენ და ხანაც – რას. ამჟამად რა გამოდის – სასამართლომ მძიმე დანაშაულისთვის მავანს მიუსაჯა ხანგრძლივი ვადით პატიმრობა და ასეთი პატიმარი პრეზიდენტის ნებით, ერთი ხელის მოსმით, ანუ ხელმოწერით თავისუფლდება რამდენიმე წელიწადში, ზოგჯერ, – რამდენიმე თვეშიც! ამას სამართლიანი, გნებავთ, დემოკრატიული მმართველობა ეწოდება თუ სხვა სახელი უფრო მიესადაგება? მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ზედიზედ შეიწყალა თავისი ოჯახის რამდენიმე ნათესავ-მეგობარი, საპატიმროებში ყველას ერთი ნატვრა გაუჩნდა: ეჰ, ნეტავ მეც პრეზიდენტის ნათესავი ვყოფილიყავიო!

* * *

2. არ შეიძლება გვერდი ავუარო კიდევ ერთ, პატიმრებთან დაკავშირებულ სასამართლო პარადოქსს, უკვე ევროპულს, ყველას გამსამართლებელი **სტრასბურგის სასამართლოს პარადოქსულ გადაწყვეტილებას.** ადამიანის უფლებათა დამცველი ეს ევროპული სასამართლო 5-10 წელი „ვერ ახერხებდა“ საქართველოს ციხეებში და პოლიციაში გამეფებული განუკითხაობის – წამების, მამაკაცების გაუპატიურების, წამებით სიკვდილამდე მიყვანის, გაუსამართლებლად უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში ჩახოცვის უამრავი ფაქტის განხილვას. დღეს კი რას ვხედავთ – ზემოთ ჩამოთვლილი განუკითხაობის ერთ-ერთი ავტორის, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის საკნიდან უდროო დროს დასაკითხად გაყვანის გამო შეტანილი საჩივრის განხილვას წარმოუდგენლად ოპერატიულად, რამდენიმე თვეში იწყებს. არა წამების ან გაუპატიურების, არამედ უდროო დროს(!) დასაკითხად გაყვანის ფაქტს! და ამ დაკითხვით პატიმრის მიერ მიღებული სტრესის(!) საკომპენსაციოდ საქართველოს ავალდებულებს ბიუჯეტიდან (ანუ, ჩვენი ჯიბეებიდან!) ვანო მერაბიშვილს გადაუხადოს 4 000 ევრო (თავად მერაბიშვილი 15 000 ევროს ითხოვდა!)! გაუმარჯოს ევროპულ სასამართლოს, ყველაზე ობიექტურ სასამართლოს მსოფლიოში!

* * *

3. „ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია ნვრილ და საშუალო ბიზნესს (პირველ რიგში) ყოველმხრივ შეეწყოს ხელი“.

ბიზნესისთვის ხელშეწყობა არის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევი ერთადერთი გამოსავალი. ამის საუცხოო მაგალითია ჩილე, რომელმაც, ერთადერთმა სახელმწიფომ მთელ დასავლეთ ნახევარსფეროში, მოახერხა და გაისტუმრა ყველა საგარეო ვალი! და ეს მოხდა ბიზნესისთვის მართლაცდა ყოველმხრივი ხელშეწყობის შედეგად დიქტატორად წოდებული გენერალ პინოჩეტის მმართველობის პერიოდში. „ქართული ოცნების“ უმთავრესი საპროგრამო დაპირებაც 2012 წელს, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, ზემოთ მოყვანილი ციტატა იყო. ცხადია, ხელშეწყობაში ბიზნესის დარეგისტრირების გაიოლება არ იგულისხმებოდა მხოლოდ, რომელიც ისედაც უკვე გაიოლებული იყო „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის პირობებშიც კი. მთავარი იყო და არის გადასახადებისგან განთავისუფლება ორი წლის მანძილზე, შეღავათიანი სესხები, საგადასახადო სამსახურების მხრიდან ბიზნეს საქმიანობაში ჩაურევლობა, მეცნიერულ-ორგანიზაციული და გასაღების ბაზრების მოძიებაში დახმარება, მაღალჩინოსნების თუ სხვათა მხრიდან წილებში „ჩაჯდომისგან“ ბიზნესის დაცვა და სხვა. ამ დაპირებებიდან მხოლოდ ერთი სრულდება სრულფასოვნად – ბიზნესის დარეგისტრირება, დანარჩენი ან არ სრულდება საერთოდ, ანდა – ძალზე არადამაკმაყოფილებლად. უფრო მეტიც, ხელშეწყობის ნაცვლად ხელშემშლელი წესები დააკანონეს.

მოგეხსენებათ ყველას – არ არსებობს ბიზნესი, რომელსაც დენი, გაზი და წყალი არ ესაჭიროებოდეს. და ისიც ცნობილია, რომ ბიზნესი ყოველივე ამას გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე ნებისმიერი, თუნდაც, ძალზე დიდი ოჯახი. ახლა ვიკითხოთ: მათი გაძვირება ხელს შეუწყობს ბიზნესის ფეხზე დადგომას და განვითარებას? გაძვირება რომ არავის წელში გამართვას არ წაადგება, კარგად ვიცით, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყოველწლიურ გაძვირებას კი არ ვგულისხმობ, არამედ, – მხოლოდ სპეციალურად ბიზნესის „ხელშესაწყობად“ შემოღებულ ტარიფებს, რაც განსაკუთრებულ სიდიდეს წყალთან დაკავშირებით აღწევს. თუ, დენის და გაზის გადასახადი „სულ რაღაც“ რამდენიმე ათეული პროცენტით უფრო მაღალია ბიზნესსექტორისთვის, ვიდრე მოსახლეობისთვის, წყლის ტარიფი წარმოუდგენლად განსხვავდება – წყალში ბიზნესი 17-ჯერ (1 600 %-ით!) უფრო მეტს იხდის! და ეს ხდება წყალუხვ საქართველოში, სადაც წყალი შეიძლება უფასოც (ან თითქმის უფასოც) კი იყოს!

* * *

4. დენის ტარიფთან დაკავშირებით მეორე პარადოქსიც იჩენს თავს, უკვე – ყველასთვის.

უხსოვარი დროიდან, რაც აღებ-მიცემობა არსებობს მას შემდეგ, როცა რაიმეს ყიდულობ დიდი ოდენობით (სულერთია რას და სულერთია ვისგან – კერძო პირისგან თუ სახელმწიფოსგან), გამყიდველი უფრო იაფად, ზოგჯერ, გაცილებით იაფად მოგყიდის საქონელს (როდენობას გააჩნია), ვიდრე ერთი ცალის ან რამდენიმეს შეძენისას. გამონაკლისი ჩვენი თელასია. ჩვენია თუ სხვისი, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ ამ პარადოქსულ მოვლენას ჩვენთან აქვს ადგილი – რაც უფრო მეტ ელექტროენერგიას ვყიდულობთ სახელმწიფოსგან (გნებავთ, კერძო კომპანიისგან), მით უფრო ძვირი გვიჯდება ყოველი კილოვატ-საათი (ამჟამად ოთხნაირი ტარიფი მოქმედებს!). წყლის ტარიფს ბიზნესისთვის განსაკუთრებული „ხელშეწყობით“ თუ ავხსნით, დენის ტარიფები, ალბათ, სახელმწიფოს მხრიდან ხალხზე „ზრუნვის“ გამოხატვად უნდა მივიღოთ.

* * *

5. უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებით დაწყებული და პრეზიდენტ-პრემიერით დამთავრებული, ყველას ამერიკის იმედი აქვს (ყოველ შემთხვევაში, ასეთია მათი ოფიციალური პოზიცია). დაბეჯითებით გვარწმუნებენ – ადრე თუ გვიან კი არა, ახლო მომავალში რუსეთი დაიშლება, ამერიკა დააჩოქებს რუსეთს (თანაც ისე, რომ ჩვენ ერთი ღერი თმაც არ ჩამოგვივარდება) და აიძულებს მას აიკრას გუდა-ნაბადი ჩვენი მიწიდან, ანუ დაგვიბრუნოს ოკუპირებული აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი. არადა, ფაქტები სულ საწინააღმდეგოზე მეტყველებს – რაც 21-ე საუკუნე დაიწყო, მას შემდეგ რუსეთი სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ამჟამად უბატონოდ მას ხმას ვერ სცემს ამერიკაც!

გასაკვირი ის კი არ არის, როცა ვინმეს რაღაცა სწამს, თუნდაც, დაუჯერებელი, არამედ ის, რომ ადამიანებს, ვისაც საკმარისი განათლება აქვთ და ინგლისურთანაც არ არიან მწყრალად, ანუ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას, საკუთარი შეხედულებების დასაცავად ერთადერთი ფაქტის მოყვანაც კი არ ძალუძთ იმის თაობაზე, თუ სად, როდის, რომელ სახელმწიფოში დამყარდა ამერიკის დახმარებით მშვიდობა და დემოკრატია, აყვავდა ეკონომიკა ან აღდგა ტერიტორიული მთლიანობა (საპირისპირო ფაქტების მოყვანა კი, სამწუხაროდ, უამრავის შეიძლება) და, მაინც, ჯიუტად დგანან მცდარ, დაუსაბუთებელ პოზიციაზე!

ეს მეტყველებს იმაზე, რომ საღი აზროვნებისთვის მხოლოდ დაგროვილი ცოდნის მარაგი არ კმარა. ნებისმიერი ინფორმაცია ტვინის კუნჭულებში შენახვის გარდა, სათანადო გადამუშავებას – ტვინის ხვეულებში გატარებას საჭიროებს. როცა ეს პროცესები დარღვეულია (მერკანტილური მოსაზრებებით, კონიუნქტურული ან სხვა მიზეზების გამო) და პოზიციის დაცვას არგუმენტების გარეშე ცდილობენ, შედეგად, ბუნებრივია, ლოგიკას მოკლებულ, წინააღმდეგობრივ, ანუ პარადოქსულ მსჯელობას ვიღებთ.

იყო დრო, როდესაც უმდიდრესი, უძლიერესი და, აგრეთვე, დემოკრატი სახელმწიფოს სახელის მქონე ამერიკის იმედი ჰქონდათ მთელ მსოფლიოში და გაჭირვებული თუ დაბეჩავებული ხალხები მისგან მოელოდნენ შველას – ეკონომიკურ და პოლიტიკურ დახმარებას. მათ რიცხვს მივეკუთვნებოდი, პირადად, მეც და, რუსეთის ხსენებაც არ მინდოდა. გამოხდა ხანი და მას შემდეგ, რაც გასაოცარი ტექნიკური წინსვლის – ინტერნეტის წყალობით შესაძლებელი გახდა სრულყოფილი, ანუ არა მხოლოდ ოფიციალური პოზიციიდან გაშუქებული, ნებისმიერი ინფორმაციის მომენტალური მოძიება, ბევრ რამეზე ამეხილა თვალი (ჩემთან ერთად, სხვასაც). თვალი კი ამეხილა, მაგრამ ოცნებები დამემსხვრა! ერთი მხრივ, ზღვა ინფორმაციის გაცნობამ გასული წლების ომების, რევოლუციების, გადატრიალებების, პოლიტიკური მკვლელობების, ტერორისტული აქტების შესახებ (რომელთაგანაც გასულ საუკუნეში უდავოდ სამი მოვლენა იყო უმთავრესი – 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, 1939-1945 წლების მეორე მსოფლიო ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა 1991 წელს) და, მეორე მხრივ, ჩვენ თვალწინ განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოში, ერთმნიშვნელოვნად ცხადი გახადა, რომ მხოლოდ(!) ამერიკის იმედად ყოფნა, ხეირს არ დაგვაყრის!

* * *

6. უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები შეტანილი არიან ამომრჩეველთა სიებში, როგორც ხმის უფლების მქონე პირები. უფლების მქონენი მხოლოდ თეორიულად(!), ვინაიდან, პრაქტიკულად, მათ არ ეძლევათ ხმის მიცემის საშუალება, მხოლოდ 5 პროცენტი თუ ახერხებს ხმის მიცემას. რატომ? მარტივი მიზეზის გამო – ხელისუფლება უცხოეთში არასაკმარისად, რუსეთში კი, საერთოდ არ ხსნის საარჩევნო უბნებს! რატომ? იმიტომ, რომ უცხოეთში სამუშაოდ გადახვეწილ ქართველობას სხვაგვარად, სხვა პოლიტიკის გატარებით ესახება საქართველოს მომავალი და, მაშასადამე, სავარაუდოდ, ისინი არჩევანსაც განსხვავებულს გააკეთებენ, რაც ნამდვილად არ აწყობდა არც წინა – ნაციონალების (ანტინაციონალები რომ უფრო შეეფერებათ) ხელისუფლებას და არ აწყობს არც ამჟამინდელს; ამავე დროს, ძალიანაც აწყობს მათი შეყვანა საარჩევნო სიებში, რადგანაც, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლების მიერ შერჩეული პირებით დაკომპლექტებული კომისიების მიერ საკმაოდ ადვილია ამ ხმებით მანიპულირება (საარჩევნო უბნებთან მისულ ამომრჩეველთა რაოდენობა ვიდეოთვალით არ ფიქსირდება, ბიულეტენების გადათვლის უფლება კი არავის არ ეძლევა!). მოკლედ, ხმის უფლება გაქვს, საარჩევნო სიებში შეტანილი ხარ, ანუ ხმის მიცემა შეგიძლია, მაგრამ, თან, არ შეგიძლია! პარადოქსია? არა, ეს ქართულ-ევროპული (გნებავთ, ქართულ-დასავლური) დემოკრატიაა!

* * *

7. მეოთხედი საუკუნეა, საქართველოში დაახლოებით ორი მილიარდი დოლარი შემოდის ყოველწლიურად (ძირითადად, გადმორიცხვით) იმ ქართველებისგან, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამენ და დღე და ღამეს ასწორებენ შრომაში იმისთვის, რომ აქ დატოვებულ ოჯახის წევრებს და ნათესავ-მეგობრებს, განსაკუთრებით, მათხოვრულ პენსიაზე დარჩენილებს, ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ ყოფა, მატერიალური სიდუხჭირე. ეს არის საქართველოსთვის ნაჩუქარი(!) უზარმაზარი ფული (ამ ხელა თანხას საკუთარი მოგებისთვის(!) გამიზნულ ინვესტიციებშიც კი არ დებენ უცხოელი ბიზნესმენები!), რომლის გარეშეც ძალიან, ძალიან გაუჭირდებოდათ არა მარტო იმათ, ვისაც ეგზავნებათ ეს ფული, არამედ – მთავრობასაც. და **ასეთ ქართველებს დიდი მადლობის ნაცვლად მოქალაქეობას ართმევს საქართველოს ხელისუფლება.** პარადოქსია ხომ? მაგრამ, მას გაგრძელებაც აქვს. მოქალაქეობის ჩამორთმევასთან ერთად, იმავდროულად ეუბნება: ჩამოდით, დაბრუნდით საქართველოშიო, ოღონდ მოქალაქეობის აღდგენაში 500 დოლარი უნდა გადაიხადოთ და ორი ადამიანის რეკომენდაციაც მოაყოლოთ (თითქოს, პარტიაში მიღებაზე იყოს საუბარი!); აქ ნამუშევარს, მრავალწლიან შრომით სტაჟს წყალში გადაგიყრით და მათხოვრულ პენსიასაც აღარ მოგცემთ –უცხოეთში რომ მუშაობდით და „იქოური“ პენსია დაიმსახურეთ, „აქოური“ აღარ გეკუთვნით, ბევრი მოგივათ, გაწყენთო (ჩვენ ნუ შეგვედრებით, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ხელფასდანამატ-პრემიებს ერთად რომ ვიღებთ და მაინც არ გვყოფნისო!); მანქანასაც უეჭველში ჩამოიყვანთ და ამიტომ ავტობუსით შეღავათიან მგზავრობასაც უნდა შეელიოთ, ამ პრივილეგიით მხოლოდ ადგილობრივი პენსიონერები სარგებლობენ, თუნდაც, მათ ერთი დღეც არ ჰქონდეთ ნამუშევარიო!

ერთი სიტყვით, პარადოქსული გადაწყვეტილებების მთელი „ბუკეტი“ გვაქვს და ეს არის ყველაზე დიდი უმადურობა არა პიროვნული, არამედ – სახელმწიფოებრივი უმადურობა საკუთარი ხალხის მიმართ გამოჩენილი. სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი ერთი ქართული გამოთქმა: „ვირო, მადლი!...“.

იაკობ ლეჟავა

შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი

„ჰიპოკრატე“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მედიცინის, ფარმაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტებზე მიმართულებების შესაბამისად:

მედიცინის ფაკულტეტზე

დიპლომირებული მედიკოსის (ქართულენოვანი, რუსულენოვანი, ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად;

1. სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
2. სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
3. ნორმალური ფიზიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
4.ადამიანის ნორმალური ანატომია, ტოპანატომია, ოპერაციული ქირურგია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;
5.ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
6. სამედიცინო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
7. პათოლოგიური ფიზიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
8. შინაგანი დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;
9. ენდოკრინოლოგია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;
9. ქირურგიული დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;
10. ონკოლოგია, პალიატიური მზრუნველობა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
11. კლინიკური ბიოქიმია
პროფესორი - 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

12. მეანობა-გინეკოლოგია
პროფესორი - 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

ფარმაციის ფაკულტეტზე

ფარმაციის საბაკალავრო (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი მიმართულებით
1. სოციალური და კლინიკური ფარმაცია
პროფესორი -1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;
2. ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი
პროფესორი -1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;
საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი მიმართულებით
1. პროფესიული პათოლოგია
პროფესორი -1 ვაკანსია;
2. ჯანდაცვის დაფინანსება, დაგეგმვა და სადაზღვევო მედიცინა
პროფესორი -1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები:

პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტი

პროფესორი, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

– აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა **შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეში“** უნდა წარმოადგინოს

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე; თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ აკადემიური თანამდებობის მაძიებლის ანკეტა;

ბ) CV(ავტობიოგრაფია);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

ე) სამეცნიერო ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დოქტორანტების შემთხვევაში - დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა;

ვ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო შრომების სია;

ზ) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში ან სათანადო წესით გაცემული ცნობა);

თ) ინგლისური ენის ფლობის (არანაკლებ 2 დონე) ან ინგლისურ ენაზე სწავლის/სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (ინგლისურენოვანი სპეციალობის აკადემიური პერსონალისათვის);

ი) რუსული ენის ფლობის, სწავლის / სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებისათვის);

კ) 2 (ორი) ფოტოსურათი.

8. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელიც განახორციელებს შესაბამისი მიმართულების სასწავლო კურსს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

შენიშვნა: აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით, ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს პროფესიული ნიშნით, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) საკონკურსო განაცხადი და ანკეტა;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) CV (ავტობიოგრაფია);

ე) 2 (ორი) ფოტოსურათი;

ვ) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სპეციალური მომზადების ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები.

კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 5 დეკემბრიდან; საბუთების მიღება იწარმოებს 2018 წლის 8 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით 10^{00} - 17^{00} სთ. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (III სართული, ოთახი 307)

საბუთების გადარჩევის ეტაპი 15-16 იანვარი;

წინასწარი შედეგების გამოცხადება 17 იანვარი;

სააპელაციო განაცხადებების მიღება 18 იანვარი;

კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდება 20 იანვარს;

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართზე საქართველო, თბილისი, 0179 სვანიძის N4ბ

ტელ: +995 032 2293492, 595 74 40 14, 599 18 85 75

E-mail:

medicina@hippocrates.edu.ge www.hippocrates.edu.ge

მერია აუტიზმის მქონე ბავშვებს ეხმარება

დედაქალაქის მერი კახა კალაძე აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებს მოუწოდებს, 8 დეკემბერს, თბილისის მერიაში დაგეგმილ შეხვედრას დაესწრონ, რომელსაც მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი გამართავს. კახა კალაძის თქმით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური მზადაა, მშობლებს ამომწურავი და დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს.

„ვიცით, რომ ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა და ამ მიმართულებით დიდი ინტერესი არსებობს. აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლებს მინდა მივმართო, რომ 8 დეკემბერს, შეუძლიათ მერიაში, გელა ჩივიაშვილთან შეხვედრაზე მობრძანდნენ. შეხვედრაზე პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ, რომლებიც ამ მიმართულებით განხორციელდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მათი ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ. დედაქალაქის მერიაში აღნიშნული შეხვედრა 8 დეკემბერს, 12:00 საათზე გაიმართება.

უფასო სასადილოების დაფინანსებაში ცვლილებები არ იგეგმება!

თბილისის მერია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ **იმ ადამიანებს, რომელთაც ყველაზე მეტად უჭირთ, მაქსიმალური თანადგომა და მხარდაჭერა აღმოუჩინონ,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ უფასო სასადილოებთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა. მისი თქმით, ამ ეტაპზე, უფასო სასადილოების დაფინანსების კუთხით, მომავალი წლის ბიუჯეტში ცვლილებები არ იგეგმება.

„გამოყოფილ თანხებს რაც შეეხება, რაც წლევანდელ ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული, ის თანხები დარჩება, თუმცა სამომავლოდ, თუ რაიმე ოპტიმიზაცია იქნება შესაძლებელი, რა თქმა უნდა, თანხები ამ მიმართულებით მიიმართება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც ყველაზე მეტად უჭირთ, ჩვენი მხრიდან მაქსიმალური თანადგომა და მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ. მისივე თქმით, მმართველი გუნდის პოლიტიკა მოქალაქეებსა და მათ კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

„შესაბამისად, თუ ამ მიმართულებით რაიმე ხარვეზი არსებობს, მომდევნო წლების განმავლობაში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

კოსმოსური ჰაკათონის გამარჯვებულები SPACE EXPO-ს სანახავად გაემგზავრებიან

კოსმოსური ჰაკათონის გამარჯვებულები ცნობილია – ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველ ადგილზე გავიდნენ პირველკურსელები სალომე თათოშვილი და დავით ხუციშვილი. სალომე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტია, ხოლო დავითი სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის ფაკულტეტზე სწავლობს.

ჰაკათონის მთავარი თემა მარსის კოლონიზაცია გახლდათ. მთელი საქართველოს მასშტაბით შერჩეული 15 გუნდი 30 საათის განმავლობაში მუშაობდა. საკუთარი პროექტები მათ ჟიურის წინაშე პრეზენტაციის სახით წარადგინეს. გამარჯვებული გუნდი „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით გაემგზავრება ნიდერლანდებში, ევროპის კოსმოსური სააგენტოს მუზეუმის, Space Expo-ს სანახავად. მეორე და მესამე ადგილის მფლობელები კი მრავალფეროვანი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

„შენ საქართველოს გულს ეფერები“

რა აჩუქა პატრიარქმა შალვა პეტრიაშვილს?

საუკეთესო კარდიოლოგი, პროფესიონალი, სანდო, უშუალო, კაცთმოყვარე, ერთგული, მზრუნველი და ყურადღებიანი... – რა ეპითეტს აღარ მოისმენთ მისი დახასიათებისას...

ხომ წარმოუდგენელია სხვანაირი გულის ექიმი? თანაც, თუ ეს ექიმი პატრიარქის გულისცემასაა მიყურადებული!..

„შენ საქართველოს გულს ეფერები, ეგებ პოეტის გულსაც უწამლოო“...

დიდებული ლექსი უძღვნა მას პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა...

არა მხოლოდ პოეტის გულს... მისი თვალთახედვის არეში უამრავი ხელოვანი და მწერალი მოხვედრილა...

ეს ა.ალადაშვილის სახელობის №1 კლინიკის კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი შალვა პეტრიაშვილია..

– დავიბადე რაჭაში, ჩემმა ბავშვობამ ექიმების ოჯახში ჩაიარა. ბაბუა 60 წლის განმავლობაში ემსახურებოდა რაჭაში ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ასევე – მშობლებიც: გივი პეტრიაშვილი და ჯულიეტა ანთაძე.

ბაბუის – აფრასიონ ნიკოლოზის ძე პეტრიაშვილის სახელი ამბროლაურის ახალ საავადმყოფოს მიანიჭეს.

მამა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იდგა ჯანმრთელობის სადარაჯოზე, დიდი ავტორიტეტითა და ხალხის სიყვარულით სარგებლობდა. ამის მიზეზი დიდი ფიქრის შემდეგ ამოვხსენი: პროფესიონალიზმის გარდა, ის ფლობდა ისეთ თვისებებს, როგორიცაა ადამიანის სიყვარული, გაჭირვებულის გვერდით დგომა, ამის გარდა, ის მოდიოდა ღმერთის რწმენიდან, რაც ძალიან გასაკვირი იყო იმ უღმერთობის პერიოდში.

დედაც და მამაც ექიმები იყვნენ და სულ ასეთი შფოთიანი ცხოვრებით ვცხოვრობდით. ისინი რაჭაში მუშაობდნენ, ძალიან დიდი მოთხოვნა იყო მათზე. ჩვენთან, ოჯახში მუდამ იყო ან ზარი, ან ვიღაც მოდიოდა და დატვირთული ცხოვრება ჰქონდათ.

მამა რომ გარდაიცვალა, მერე დედა უძღვებოდა ოჯახს, ჩემი და ჩემი ძმის აღზრდის ტვირთი დედამ იკისრა. თან მთელი დატვირთვით მუშაობდა. ძალიან უყვარდა თავისი საქმე და ჩვენზეც გადმოვიდა მედიცინის სიყვარული.

ვცდილობდით, ეს ტვირთი შეგვემსუბუქებინა. ამაში მას ეხმარებოდა ბებია, ტრადიციული ოჯახიდან გამოსული ქალბატონი, უნივერსიტეტის და გიმნაზიის განათლებით, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა, ჩვენ აღვეზარდეთ ძირითადი ეტიკეტის დაცვით, მაგრამ ძირითადი აქცენტი ჩემზე იყო გაკეთებული,

ჩემს ძმას ეს იმდენად არ სჭირდებოდა, მე როგორც მოუსვენარ და ცელქ ბავშვს, ყოველთვის მტუქსავდა და ცდილობდა, რომ ეს ეტიკეტები მკაცრად დამეცვა.

მე ამბროლაურში დავიბადე, დედა თბილისში დაიბადა, თბილისში დაამთავრა სკოლა, მერე განაწილებით წავიდა რაჭაში, იქ შეხვდა მამას და დარჩა. ძმა – თეიმურაზი მყავს, რომელიც დაიბადა თბილისში. გაიზარდა მთაწმინდაზე, დაამთავრა 47-ე საშუალო სკოლა, მანაც დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. მე სწავლა თბილისში დავიწყე და მერე რაჭაში დავამთავრე საშუალო სკოლა. იმის მიუხედავად, რომ ექიმების ოჯახში გავიზარდე და მიზიდავდა ეს პროფესია, მაინც მოვინდომე დრამის რეჟისორობა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ვემზადებოდი.

– რატომ?

– არ ვიცი, ექიმების ოჯახი იყო და ჩვენებს ხელოვნება უყვარდათ. დედას ძალიან უყვარდა ლიტერატურა, ხელოვნება და თეატრი. ეტყობა, ეს ჩემზეც გადმოვიდა. ბავშვობიდან დავყავდი ყველა ახალ სპექტაკლზე, პრემიერებზე ოპერის თეატრში, და ეს სიყვარული ჩემზეც გადმოვიდა...

– პოლიკარპე კაკაბაძესთან მიგიყვანეს დასაკვალიანებლად...

– როდესაც ჩვენი ოჯახის ახლობელს პოლიკარპე კაკაბაძეს უთხრეს, რომ მე მინდოდა დრამის რეჟისორობა, მან თავზე ხელი გადამისვა და ჩვეული სითბოთი მითხრა, შექსპირი გიყვარსო? მე რამდენიმე ნაწარმოები წაკითხული და მერე გადაკითხულიც მქონდა, და ვუთხარი, რომ შექსპირი ძალიან მიყვარდა. მაშინ, იცი, რა ქენიო, – დამაკვალიანა, – თუ შენ რეჟისორობა გინდა, აიღე „ოტელო“ და შენი ხელით გადაწერე ერთ რვეულშიო... მართლაც, გამოვიქეცი სახლში და დავიწყე დავალების შესრულება. გადავწერე ნახევრამდე, მერე უკვე მძლია სიზარმაცემ და დავალება შეუსრულებელი დამრჩა. არ ვიცი, მე რომ ეს დავალება ბოლომდე შემესრულებინა, ასრულდებოდა თუ არა ჩემი ოცნება...

მერე ბატონი პოლიკარპეც მალე გარდაიცვალა და ამით დაესვა წერტილი ჩემს სერიოზულ ოცნებას თეატრზე. თუმცა როდესაც გავხდი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, პირველ კურსზე მაინც დავდიოდი თეატრალურ ინსტიტუტში, ბატონ მიშა თუმანიშვილისა და ლილი იოსელიანის კონსულტაციებზე, მაგრამ უკვე როცა გადავხედე ჩემს ძალებს, ვიფიქრე, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო, ჯობდა, დარჩენილიყო ჩემში მხოლოდ სიყვარული ამ საქმისა, თავი დამენებებინა და ისევ ჩემს პროფესიას მივყოლოდი, რომელიც მე, მართლაც, უზომოდ შემიყვარდა.

მერე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო მარტო სიყვარული საკმარისი არ არის. ხელოვნებას სათანადო მონაცემები უნდა, კიდევ კარგი, დროზე მივხვდი ამას...

– ასე მოხვდით სამედიცინო ინსტიტუტში...

– სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩავირიცხე, ინსტიტუტის დასრულების მერე სხვა სურვილები მქონდა, სწავლის გაგრძელებაც მინდოდა. მოსკოვი იყო ხელმისაწვდომი, სადაც შეიძლებოდა სწავლის გაგრძელება, მაშინ მეტზე ვერ იოცნებებდი, მაგრამ არ ხდება ყველაფერი ისე, როგორც გინდა, და ეს საქმე არ გამოვიდა... ამიტომ ინტერნატურა თბილისში გავიარე და შემდეგ რაჭაში განაწილებით წავედი.

– რაჭაში ექიმად სამი წელი იმუშავეთ...

– ამბროლაურში ვმუშაობდი, იქ ხალხი ძალიან დიდი სითბოთი შემხვდა, ეს ჩემი წინაპრების დამსახურება იყო, მათი საქმეები ახსოვდათ და უყვარდათ და ეს სიყვარული დღემდეა შემორჩენილი, ძალიან დიდი სითბოთი იგონებენ მათ. რაჭაში სამი წელიწადი ვიმუშავე, ჩემი ცხოვარების უბედნიერესი პერიოდი იყო, მთელი დატვირთვით ვმუშაობდი, დღე და ღამე არ არსებობდა...

შვილებთან ერთად

შემდეგ ჩავირიცხე ორდინატურაში და სწავლა განვაგრძე თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში, მუშაობა დავიწყე აქ, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში, სხვადასხვა დროს ვიყავი განყოფილების ექიმი, განყოფილების გამგე, კათედრის ასისტენტი და კათედრის დოცენტი, კათედრის ასოცირებული პროფესორი. მუშაობის პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწეოდი, სამედიცინოს თანამშრომელი ვიყავი და ბაზა სწორედ აქ, ამ კლინიკაში იყო.

შემდეგ მოხდა ისე, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზა შეიცვალა და გადავიდა სხვა საავადმყოფოში.

ისე შევეჩვიე და მიყვარდა ეს ძველი ტრადიციული კედლები, რომ მე არ წავედი და ასე დავთმე სამედიცინო უნივერსიტეტი...

დავრჩი აქ და ვარ კარდიოლოგიური და თერაპიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

– კარდიოლოგობა რამ გადაგაწყვეტინათ?

– ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო ბებიაჩემის ექიმი, კარდიოლოგი, ძალიან სახელიანი და ინტელიგენტი გივი კალანდარიშვილი. როცა ჩვენთან მოდიოდა, ისეთი მოწიწებით შევყურებდი, ისე მომწონდა მისი მანერები, საუბარი, მეც მომინდა კარდიოლოგობა. პირველი კურსიდანვე დავისახე მიზანი, რომ კარდიოლოგი გამოვსულიყავი.

– და მიაღწიეთ თქვენს მიზანს, კმაყოფილი ხართ?

– კმაყოფილი როცა არ ხარ, მაშინ ბედნიერიც არ ხარ შენი სამუშაოთი... ისეთი წლები გავიარეთ, საკმაოდ მწირად ანაზღაურებადი იყო ჩვენი საქმე. დავდიოდით ფეხით, სიბნელეში, სიცივეში, მოვდიოდით და მთელი დატვირთვით ვმუშაობდით. მერე ისევ მივდიოდით ფეხით სიბნელეში, სიცივეში... თუ არა საქმის სიყვარული, მარტო მატერიალური ანაზღაურების გამო ამას ვერ გააკეთებ ადამიანი.

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გულის ექიმი ხართ... როგორ გიპოვათ პატრიარქმა?

– ეს მოხდა 1996 წლის ნოემბერში, როდესაც ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი ჩემი პაციენტი და მითხრა: პატრიარქმა სურვილი გამოთქვა, რომ მასთან მიგიყვანოთ, როგორც ექიმიო... მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი... ეს იყო შოკი, მთელი ღამე არ მეძინა, მეორე დღეს, მართლაც, მივედი... ცოტა სხვანაირი წარმომედგინა და დამხვდა მომღიმარი, მოალერსე, საოცარი სითბოთი. მგონი, მე იქიდან მაშინ განკურნებული წამოვედი. მას მერე აეწყო ჩვენი ურთიერთობა.

– მას მერე, 21 წლის განმავლობაში, პატრიარქის გვერდით ხართ...

– მას მერე ვარ... იყო პერიოდები, როცა მას არ სჭირდებოდა ასეთი ინტენსივობით ჩემი ყოფნა, ამიტომ ცოტა შემსუბუქებულად ვიყავი... 2009 წლიდან უფრო აქტიურად ვარ მასთან. მასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საზღვარგარეთის ქვეყნებში მომიწია ყოფნამ. ეს იმხელა ბედნიერებაა, ისეთი რაღაც ვნახე, როგორ ხვდება მას ხალხი, როგორი სიყვარულია. საქართველოში ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ როგორი მოწიწება აქვთ მისდამი საზღვარგარეთ, სხვა კონფესიის ხალხს, და თვითონაც როგორია მისი დამოკიდებულება მოგზაურობაში, ადამიანების მიმართ, ყველას მიმართ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემზეც ის იფიქრებდა, თუ რით ვიკვებები და სად მძინავს...

– პატრიარქთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი მღელვარე ამბის დროსაც ხომ მასთან იყავით?

– მაშინაც ვიყავი, რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნო ფაქტი იყო, დღემდე ვერ გავიგე, რა იყო და რაში იყო საქმე, მაინც ვღელავდით, რადგან ასაკოვანი ადამიანია, მიდიოდა გერმანიაში საოპერაციოდ, საკმაოდ რთული ოპერაცია უნდა გაკეთებულიყო და ღელვასთან იყო დაკავშირებული.

მერე დაემატა გაუგებარი ამბავიც და ამან მაინც ცოტათი შეგვძრა.

– რა განცდა ჰქონდა მაშინ?

– სხვათა შორის, მას ვერ შეატყობ, რომ რამეს განიცდის, არასოდეს თავის განცდებს არ გამოხატავს. შეიძლება, სიხარული გამოხატოს, მაგრამ ის, რომ რაღაცას განიცდიდეს, ამას ჩვენ ვხვდებით... თავზე არ მოგახვევს. არც არავისზე ცუდს არ ამბობს. მე არ გამიგია, რომ ვიღაცაზე, თუნდაც იმ ადამიანზე, ვინც მისდამი ცუდად არის განწყობილი, ცუდი თქვას – პირიქით.

– გულის მდგომარეობა როგორ აქვს?

– არა უშავს, ახლა სტაბილურია, იყო პრობლემები, და ეს პრობლემები მოგვარდა...

– ბედნიერი ადამიანი ხართ – პატრიარქის გულის ექიმი გქვიათ...

– ძალიან დიდი პატივია, მართლაც. ხანდახან ენაც არ მემორჩილება, რომ ვთქვა და ჩემი თავი ღირსად ჩავთვალო, რომ მის გვერდში მიხდება ყოფნა.

– ალბათ, პატრიარქის საჩუქრებიც გექნებათ...

– ძალიან საინტერესო რაღაცების ჩუქება იცის. იცის წიგნების, ჯვრის, სამაჯურის, ხატის ჩუქება...

– მისი რომელი საჩუქარი გიყვართ?

– ძალიან მიყვარს ეს სამაჯური, რომელსაც 9 წელიწადია, ვატარებ და რომელსაც აწერია: „ღმერთმა დაგლოცოთ“, შიგნიდან კი ხელმოწერა აქვს. სულ მეშინია, არ დავკარგო...

– მარჯანიშვილის თეატრის ექიმიც იყავით...

– დიდხანს ვიყავი მარჯანიშვილის თეატრის ექიმი. უბედნიერესი წლები იყო ჩემთვის, რადგან უთბილეს გარემოში და ძალიან კარგ ხალხთან ვიყავი.

გოგი გელოვანი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ელენე ყიფშიძე, თენგიზ არჩვაძე... ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ეს ხალხი ძველი თაობიდან.

– ოთარ ჭილაძესთანაც გქონდათ ურთიერთობა...

– ბატონ ოთარ ჭილაძესთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. ოთარს მრავალი ექიმი ჰყავდა და მათ შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი. არასოდეს ვზარდებოდი და როცა მირეკავდა, მივდიოდი მასთან.

ერთხელ ბატონი ოთარი მეუბნება, გოდორი თუ გაქვთ სახლშიო? მე ვუთხარი, რაჭაში გვაქვს ძველი გოდორი-მეთქი, თბილისში არა-მეთქი. კაი, მაშინ თბილისშიც გქონდეთ გოდორიო. – მითხრა, გავიდა მეორე ოთახში და გამოიტანა წიგნი...

უცებ ვერ გავიაზრე, რომ რომან „გოდორზე“ მეუბნებოდა.... თავისი ავტოგრაფით მაჩუქა ეს „გოდორი“...

– დაწყებული ვერიკო ანჯაფარიძითა და აკაკი ვასაძით, იმ თაობის ყველა მსახიობი სცენაზე გყავთ ნანახი... თუნდაც სოფიკო ჭიაურელი, ლია ელიავა...

– ამით ჩემს თავს ძალიან ბედნიერად ვთვლი. ეს ადამიანები სცენაზეც და სცენის მიღმაც მყავს ნანახი.

რაც შეეხება სოფიკო ჭიაურელს, სახლში რამდენჯერმე ვიყავი, მახსოვს, ერთხელ მივედი და ტორტი ჰქონდა, ვიღაცამ მიართ-

ვა ტორტი... მე ვუთხარი, მე მოვიჭრი-მეთქი, რადგან ტორტი მაინცდამაინც არ მიყვარს. ვიფიქრე, რომ ძალიან პატარა ნაჭერს მოვიჭრიდი და გამოვიდა დიდი... ღიმილით მითხრა, აი თურმე რატომ გინდოდა, რომ შენ მოგეჭრა ეს ტორტიო.

არაჩვეულებრივი ადამიანი ლია ელიავა ჩვენთან ინფარქტით იწვა. მახსოვს, ღამით განყოფილებაში მოვედი, ძალიან დიდი მიღება იყო და ვიფიქრე, მორიგე ექიმს მივხმარებოდი.

შევიხედე ინტენსიურში, გადატენილი იყო, ადგილს ვერ იპოვიდით... და ვხედავ, წევს ლია ელიავა. გადავირიე, იმიტომ, რომ წევს ქართული კინოს ნამდვილი ვარსკვლავი და პრეტენზია არა აქვს, რომ ამდენ ხალხშია მოთავსებული, როგორც ზოგმა იცის, სად დამაწვინეთო... ძალიან შევწუხდი და ვუთხარი, ჩემს ოთახში გადაგიყვანთ- მეთქი. არავითარ შემთხვევაში, სადაც სხვები არიან, მეც იქ ვიქნებიო... ძალიან კმაყოფილი ვარ, თან მყვება ყველაო.

ბოლოს, მაინც გადავიყვანეთ და ცალკე დავაწვინეთ, ამით ჩვენ თვითონ მივიღეთ სიამოვნება.

დიდი სითბოთი ვიხსენებ თემო გოცაძეს და მარინა ჯანაშიას, ჟანრი ლოლაშვილსა და თათული დოლიძეს. ძველი თაობის მომღერალი ციცინო ციცქიშვილიც ჩემი პაციენტი იყო, ცნობილი მწერალი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე. მისი ავტოგრაფითაც მაქვს წიგნი, ბაჩანა ბრეგვაძე... მანაც ავტოგრაფით მისახსოვრა.

— თემურ ჩალაბაშვილმა ლექსი მოგიძღვნათ, რომელიც თქვენს კაბინეტში გიკიდიათ... მინდა, ამ ლექსს მკითხველებიც გაეცნონ...

* * *

პროფ. შალვა პეტრიაშვილს,
უწმინდესისა და უნეტარესის
ილია მეორის პირად ექიმს, —
ლექსპრომტად.

ღმერთმა გარგუნა ბედი ექიმის
და სითბოს საგზალად ჩამორიგება,
სწორედ ამგვარი სიყვარულისგან
ტრფობის ტაძარი თუ აიგება.

გისმენ, სავსე ვარ ბედნიერებით,
მეტყვი სიტყვას და მარჩენ უწამლოდ,
შენ საქართველოს გულს ეფერები,
ეგებ პოეტის გულსაც უწამლო!

— თემურ ჩალაბაშვილი მოვიდა ჩემთან, როგორც პაციენტი, ჩვენ დავმეგობრდით, არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მადლიერების გრძნობა ისეთი კარგი რამაა...

მომიძღვნა ლექსი და, სხვათა შორის, ეს არ არის მოვალეობის მოსახდელად დაწერილი ლექსი... ეს არის გულიდან ამოძახილი და, მგონი, მხატვრული თვალსაზრისითაც ძალიან კარგი გამოვიდა.

— ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის №1 კლინიკა ტრადიციული, დიდი ისტორიის მქონე დაწესებულებაა...

— ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის შენობა 1881 წელს ქალაქის მუნიციპალიტეტს გადასცა სამხედრო უწყებამ. აქ მაშინ მუნიციპალური საავადმყოფო გაიხსნა.

იყო ასევე სასწრაფო დახმარების სადგურივით რაღაც პატარა, სადაც სასწრაფო დახმარების ეტლები ემსახურებოდა ქალაქს.

მას მერე მოდის ეს კლინიკა, ამხელა ისტორია, მგონი, არცერთ კლინიკას არა აქვს თბილისში.

როცა უკვე დადგა საკითხი, რომ ეს კლინიკა იხურებოდა, ვინც შეიძინა, ამით დიდი ეროვნული საქმე გააკეთა. ქალაქს შეუნარჩუნა ტრადიციული კლინიკა. არ ვიცი, ეს ფინანსურად მისთვის რამდენად მომგებიანი იყო, მაგრამ ქვეყნისთვის კარგი საქმე გაკეთდა.

ფოიეში ნახავთ სურათებს, რამდენად ტრადიციული კლინიკაა... ძალიან დიდი ხალხი მოღვაწეობდა აქ. მარტო ალექსანდრე ალადაშვილის და მისი შვილის ვახტანგ ალადაშვილის სახელი რად ღირს, სხვას ყველას თავი რომ დავანებოთ.

ეს იყო განათლების კერა, აქ გაიზარდნენ ექიმთა თაობები, აქ იყო ორი — ქირურგიის და თერაპიის კათედრა.

— ჩვენს დროში ძალიან გახშირდა გულის დაავადებები...

— გულის დაავადებები ყველა დროში აქტუალური იყო, განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა ტექნიკური პროგრესის ტემპი იზრდება, სტრესები მატულობს. გახშირდა იშემიური დაავადებები, მისი ერთ-ერთი სახეობა ინფარქტი გაახალგაზრდავდა კიდეც.

ადამიანი მთლიანად არის ჩაფლული თავის სამუშაოში და ჯანსაღი ცხოვრების წესს ნაკლებად მისდევს... პირველ ყოვლისა, ადამიანმა, თუ სურს, რომ ჯანმრთელი იყოს, ჯანსაღი ცხოვრების წესს უნდა მისდიოს, შეძლებისდაგვარად. მავნე ჩვევებს აარიდოს თავი... მნიშვნელოვანია კვების რეჟიმი, წონის კორექცია...

დღეს სტრესს ვერ გაექცევი, მაგრამ ამ სტრესს მომზადებული უნდა შეხვდე, რომ კიდევ უფრო არ გამძაფრდეს მდგომარეობა.

— სხვანაირად გამორჩეული იყო მედეა ჯაფარიძესთან ურთიერთობის პერიოდი?

— მედეასთან ბავშვობიდან ვახლობლობდი და უდიდესი სიკეთე დამამახსოვრდა. ყოველი შეხვედრისას, მერეც, როცა უკვე სტუდენტი ვიყავი, დაგვიძახებდა, მოგვეფერებოდა, ფული გააქვს? — მეტყოდა ხოლმე და უნდოდა, რაღაც ყურადღება გამოეხატა.

სულ ცდილობდა, სხვას დახმარებოდა. ასეთი იყო....

— და დღევანდელი თაობა არის ასეთი?

— არიან, არიან... მაშინ უფრო ჩანდა ეს ხალხი. იმიტომ რომ ისედაც სხვანაირები იყვნენ, ინტელექტუალურადაც და დონითაც. მარტო პროფესიონალური თვალსაზრისით კი არა, მოქალაქეობრივი დონით იყვნენ მაღალი. ახლაც არიან, მაგრამ ისინი უფრო ელვარეები იყვნენ.

— დღევანდელ თბილისში რა მოგწონთ და რას შეცვლიდით, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული?

— ქალაქი ძალიან გაიზარდა, შეიცვალა იერსახე, ზოგან უკეთესობისკენ, ზოგან — უარესობისკენ. მაგრამ რატომღაც იმ ძველი თბილისის ნოსტალგია მაქვს.

ჩვენი, დედაჩემის ოჯახი ძირძველი თბილისური ოჯახი იყო, მთაწმინდაზე, სადაც ვიზრდებოდი, სხვანაირი ურთიერთობები იყო, სხვანაირი შენობები, უბანი... შეიძლება, ეს ჩემი სუბიექტური დამოკიდებულებაა, დრო რომ გადის, მაინც სიკეთისკენ იცვლება ხოლმე. მე უფრო ძველი იერსახე და ურთიერთობები მომწონდა.

თუმცა ახლაც, ვინც ერთ წრეშია, იქ ის ურთიერთობები შენარჩუნებულია.

— თავისუფალი დრო თუ გაქვთ და რა გიტაცებთ?

— მაინცდამაინც ბევრი არ მაქვს, მაგრამ როცა მაქვს, მიყვარს ოჯახთან ერთად სეირნობა მთაწმინდის ქუჩებში, ფუნიკულიორზე, მამადავითზე, თეატრში, ოპერაში, კონცერტებზე წასვლაც გვიყვარს.... მეგობრებთან მისვლაც მიყვარს...

— მწერლობიდან რას კითხულობთ?

— ქართველებიდან ოთარ ჭილაძე და გურამ დოჩანაშვილი ძალიან მიყვარს. ასევე — ანა კალანდაძე, ბესიკ ხარანაული, ოთარ ჭილაძე...

— ოჯახი...

— მეუღლე პედიატრი მარინე გაგოშიძე, სამედიცინო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია. ორი შვილი — ანა და გივი, ორივენი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

—კარდიოლოგია იტაცებთ?

— მე მგონი, ორივეს, მთავარია, კარგად ისწავლონ და ბევრი იშრომონ, შრომის გარეშე არაფერი არ გამოდის...

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

◎ „ინტელექტმა“ გამოსცა

ფერთა ჯადოსნური სამყარო

„ყოველი ახალი სურათი ახალი აღმოჩენაა ჩემთვის... ყველაფერი ჩემი სულის ნაწილია. ამიტომაცაა მე სურათებთან ერთად ვცოცხლობ, და ჩვენ ერთად მოვდივართ თქვენამდე“... — წერს შესანიშნავი მხატვარი მზია ხალვაში „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ მისივე ნამუშევრების ალბომში, რომელიც აჭარის მხატვართა კავშირის მხარდაჭერითა და სასტუმრო „პალმა“ და შპს „ქართული ბაღების“ სპონსორობით დაისტამბა.

ქალბატონი მზია ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის ოჯახში დაიბადა. ამიტომაცაა მის ნამუშევრებს პოეტური სურნელი, მშობლიური კუთხის სიყვარული რომ ახლავს. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შემდეგ მოღვაწეობა მშობლიურ ბათუმში განაგრძო, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ პერსონალურ თუ ჯგუფურ გამოფენებში როგორც სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. არის სხვადასხვა ფესტივალების ლაურეატი. აჭარის დამსახურებული მხატვრის ნამუშევრები დაცულია ბათუმის, თბილისის, მოსკოვის, ლონდონისა და ჰოლანდიის



მუზეუმებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ათვალიერებ ალბომს და მხატვრის ნამუშევრებთან ერთად მოგზაურობ იმ საოცარ სამყაროში, რომელსაც ხელოვანის ბავშვობის მოგონებები, მშობლიური კუთხის ულამაზესი ადილები ჰქვია. იგი უპირველესად ნამდვილი პეიზაჟისტია. სხვადასხვა ტექნიკით მუყაოსა და ტილოზე შესრულებული აჭარის მაღალმთიანი სოფლების, ბათუმის, ლონდონის ხედები მართლაც საოცარ სამყაროში გამოგზაურებენ. გასაოცარია მხატვრის მიერ აკრილითა და ზეთის საღებავით შესრულებული ნატურმორტები, გამოჩენილ ადამიანთა და ოჯახის წევრთა პორტრეტები, გობელენები.

„დახვეწილი ტექნიკა, ულამაზესი ფერები, ოსტატობა და პროფესიული ხელწერა იგრძნობა ყოველ ნახატში, ფერწერულსა თუ გრაფიკულ ნამუშევრებში. გემოვნება და ერთგვარი „ესკიზური“ ხასიათი თუ შემთხვევითობის ეფექტები ხელოვანის სურათებს განუმეორებლობისა და თვითმყოფადობის ელფერს ანიჭებს“.

„მზია ხალვაშის სურათები არის სიყვარულით, პოეტური აღმაფრენით და ოსტატობით შესრულებული ტილოები. ალბათ მხოლოდ მზიას შეეძლო აჭარის ასე დანახვა“...

ასე აფასებენ მხატვრის შემოქმედებას ცნობილი მხატვრები დიმიტრი ერისთავი, რეზო ადამია და პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნეები, მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები.

დასტურ რომ ასეა!

ალბომი მართლაც შესანიშნავი საჩუქარია მხატვრობის მოყვარულთათვის.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ტურიზმი ციფრებში

11 თვეში საქართველოს 7 მილიონამდე საერთაშორისო მოგზაური ეწვია

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საქართველოში ნოემბრის თვეში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორებისა და ტურისტების სტატისტიკური მონაცემები შეაჯამა. გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, 2017 წლის იანვარ-ნოემბრის თვის მონაცემებით საქართველოს 6,954,932 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 1,081,031-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, 11 თვეში იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 3,243,963 შეადგინა, რაც 701,371-ით მეტია 2016 წლის იანვარ- ნოემბრის მაჩვენებელზე.

მისივე ინფორმაციით, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ნოემბერში გამოირჩნენ გაერთიანებული სამეფო +39.7%, ავსტრია +35.6%, ნიდერლანდები +32.7%, ესპანეთი +30.5%, საფრანგეთი +29.7% და გერმანია +27.4%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: იორდანია +327.2%, საუდის არაბეთი +165.7%, ქუვეითი +152.4%, ირანი +121.1%, ინდოეთი +66.6%, უზბეკეთი +57.9%, ჩინეთი +53.2%, აშშ +24.2% და სხვა.

რაც შეეხება 2017 წლის ნოემბრის თვის სტატისტიკას, ამ თვეში საქართველოს 524,108 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 64,851-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა (14.1%).

გიორგი ჩოგოვაძის თქმით, ნოემბრის თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 201,056 შეადგინა, რაც 36,044-ით მეტია 2016 წლის ნოემბრის მაჩვენებელზე.2017 წლის II კვარტლის მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 658.7 მილიონ დოლარს რაც 143 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2017 წლის I-II კვარტლების ჯამური მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 1.1 მილიარდ (1,093,280,615) დოლარს, რაც 225 მილიონი დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2017 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით შეადგენს 6.9%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +12.2%-ია.

2017 წლის იანვარი-ოქტომბრის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადასახადო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1,799,989 ათასი ლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +33.2%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

დელი ისევ ტოქსიკურ ღრუბელში გაეხვა

ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი დელიში დასაშვებ ზღვარს 9-ჯერ აღემატება. ამჯერად დაბინძურების წყარო ადგილობრივი ფერმერები გახდნენ, რომლებიც პლანტაციებს დასათესად ამზადებენ და გასუფთავებულ ტერიტორიებზე ნარჩენებს წვავენ.

უკრაინის გენპროკურორის ფოტო განხილვის საგნად იქცა

სოციალურ ქსელებში განხილვის საგნად იქცა გავრცელებული ფოტო, რომელიც უკრაინაში, პროკურატურის თანამშრომელთა დღესთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიალზეა გადაღებული.

ფოტოზე, რომელმაც მძაფრი რეაქცია გამოიწვია, აღბეჭდილია უკრაინის გენერალური პროკურორი იური ლუცენკო, რომელიც მუხლმოდრეკილი კოცნის პროკურატურის ახალ დროშას, დროშა კი უკრაინის პრეზიდენტს უჭირავს ხელში. ფოტო სოციალური ქსელის მომხმარებლებმა მრავალმხრივ გააშარჟეს. ზოგიერთ ფოტოზე დროშა ასდოლარიანი კუპიურით არის შეცვლილი, ზოგ შარჟში დროშის ნაცვლად გამოსახულია კუბოკრული პლედი, ფოტოს კი სოციალური ქსელების მომხმარებლებმა „მასონური რიტუალი“ უწოდეს.

აშშ მიგრაციის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებას არ შეუერთდება

აშშ მიგრაციის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებას არ შეუერთდება, რომელიც 2018 წელს უნდა ამოქმედდეს. 2016 წელს ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ, მიგრაციის ნიუ-იორკის დეკალარაციას მოაწერა ხელი. ამ დოკუმენტის მიხედვით, 2018 წელს უნდა მიიღონ გლობალური შეთანხმება ლტოლვილთა და მიგრანტთა მასობრივი გადაადგილების პრობლემაზე რეაგირების შესახებ.

„ნიუ-იორკის დეკლარაციის ბევრი პუნქტი არ შეესაბამება აშშ-ის პოლიტიკას მიგრაციის საკითხებში, ასევე ტრამპის ადმინისტრაციის პრინციპებს“, — ნათქვამია გაეროში აშშ-ის მისიის განცხადებაში.

განცხადება

შპს „ვაკე“,

ცვლილებები ბუნებრივი გაზის ტარიფებში:

— საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“, სს „იტერა საქართველოს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და საქართველოში მომქმედ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელ სხვა საწარმოებს შორის 2013 წლის 1 მარტს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის („მემორანდუმის“) გაუქმებასთან დაკავშირებით, შპს „ვაკე“ უბრუნდება ზემოაღნიშნული მემორანდუმის ამოქმედებამდე არსებულ ბუნებრივი გაზის ტარიფებს: — რეგულირებული მომხმარებელი — 0.49 ლ (1 მ/კ), დერეგულირებული მომხმარებელი, - 0.52 (1მ/კ).

◎ ლარი... ჩვენი მღელვარებისა

ლარისთვის ყველაზე კრიზისული პერიოდი დაიწყო

დეკემბერი ეროვნული ვალუტისთვის ყველაზე კრიზისული თვეა. ამ პერიოდში ლარს მკვეთრი რყევა და გაუფასურებისკენ მიდრეკილება ახასიათებს. მისი დროებით დასტაბილურება მხოლოდ წინასაახალწლო დღეებში ხდება. კურსი ისედაც კრიტიკულ ნიშნულზეა და მორიგ ვარდნას სავალუტო ბაზარი ვეღარ გაუძლებს. მთავრობა ირწმუნება, რომ სიტუაციაზე კონტროლი დაკარგული არა აქვს და მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

პირველი კომენტარი გააკეთა ლარის კურსთან დაკავშირებით ახალმა ფინანსთა მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** და აღნიშნა, რომ თუკი უწონასწორობა გაგრძელდება, ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებულ ბერკეტებს აუცილებლად გამოიყენებს.

„როდესაც ჩვენ სავალუტო რისკებზე ვსაუბრობთ, მთავარ პრიორიტეტში ფუნდამენტური საკითხების ანალიზია, როგორიცაა ექსპორტი, იმპორტი და ასე შემდეგ. ჩვენ თუ ათი თვის სტატისტიკას ავიღებთ, ექსპორტში 30%-იანი ზრდა გვაქვს, თუ არ ვცდები, 8%-იანი — იმპორტში.

ეროვნულმა ბანკმა დაახლოებით ერთი კვირის წინ გააკეთა განცხადება, რომ თუ უწონასწორობა გაგრძელდება, სებ-ი მის ხელთ არსებულ ბერკეტებს აუცილებლად გამოიყენებს. შესაბამისად, მინდა ყველას მოვუწოდო, რომ ვუყუროთ ფუნდამენტურ საკითხებს და ამის შესახებ მოვახდინოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა“, — განაცხადა ბახტაძემ.

გარკვეულწილად მის პოზიციას იზიარებს „თიბისი ბანკის“

გენერალური დირექტორი **ვახტანგ ბუცხრიკიძე.** ისიც ლარის კურსის გაუფასურებას სეზონურ ფაქტორებს უკავშირებს და აცხადებს, რომ ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ კურსი დასტაბილურდეს.

„ჩვენი მოსაზრებით, სავალუტო ბაზარზე არსებული ვითარება მაინც სეზონურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. რაც უფრო მეტი რესურსი იქნება მოზიდული უცხოეთიდან ლოკალურ ვალუტაში, უფრო მეტად ხელი შეეწყობა ლარის სტაბილურობას. ფუნდამენტურ მაჩვენებლებს თუ ავიღებთ, ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ ნორმალურად ვითარდება. მნიშვნელოვანი ზრდა იქნება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის, კარგი მაჩვენებლებია ტურიზმში, ექსპორტში, გადმორიცხვებში. წელს ეს მაჩვენებლები უკეთესია, ვიდრე შარშან. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია კურსი იყოს სტაბილური“, — განაცხადა ბუცხრიკიძემ.

განსხვავებული პოზიცია აქვთ ფინანსისტებს. დავით წიქარიძე მიიჩნევს, რომ ბოლო დროინდელი მკვეთრი გაუფასურება მიზანმიმართულმა ქმედებამ განაპირობა.

„ლარის გაუფასურება აბსოლუტურად დამოკიდებულია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან და იმ ხარჯებთან, რომელსაც ქვეყანა ეწევა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ლარის გაუფასურება არის მიზანმიმართული ქმედება. ეროვნული ბანკი და მთავრობა შეთანხმებულად მოქმედებენ, რათა სახელმწიფომ დაგროვილი ვალების მარტივად გასტუმრება შეძლოს. ხოლო წლის ბოლოს ბიუჯეტი დაბალანსებული იყოს“, — აღნიშნა წიქარიძემ.

დეკემბერი რომ ყველაზე კრიზისული თვე იქნებოდა ეროვნული ვალუტისთვის, ამის შესახებ მთავრობას და ეროვნულ ბანკს კარგა ხნის წინ აფრთხილებდა „ეფიქს ჯგუფის“ ანალიტიკოსი **ნიკა შენგელია.** ამიტომ სავალუტო ბაზრისა და ფასების სტაბილურობისთვის აქამდე უნდა მომზადებულიყვნენ.

ბექა დანელია

შპს „გრინ დეველოპმენტის” ადმინისტრაციის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2018 წლის 26 იანვარს 14:00 საათზე, შპს „გრინ დეველოპმენტი”-ს ოფისში (მისამართი: ქ.თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა №64), გაიმართება 110 კვ ეგხ „დიდუბე- 1ა -2”-ის №14-№15 საყრდენებს შორის რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის (შპს „გრინ დეველოპმენტი”-ს ტერიტორიიდან სადენების გადატანით) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, სოფ. თხინვალა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **შპს „გრინ დეველოპმენტი”-ს ოფისი, ქ. თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა 64; (+995)) 577-797-575;**
- **შპს „ჯეოკონი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ.** №62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენლთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. თბილისი, ა.ვარაზის ქუჩა 64, საკონტაქტო პირი: ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ტელ.: (+995) 577- 797-575. ელ. ფოსტა: zura@green.ge; zura@development.ge

გიორგი შავგულიძის ელვარე ნიჭიერება

1959 წლის აპრილის ერთ დღეს შემზარავი ამბავი გავრცელდა, მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს კაშკაშა ვარსკვლავი, ყველასათვის საყვარელი მსახიობი გიორგი შავგულიძე (მე მაშინ ქუთაისის ერთ-ერთი ინსტიტუტის სტუდენტი გახლდით). მახსოვს, იმ დროს მთელი ქუთაისი ფეხზე დადგა. ქუჩაში გამოსული ადამიანები საერთო მწუხარებამ და გლოვამ მოიცვა. უმალ გონებაში ეკრანივით გაიარა მის მიერ გასაოცარი ნიჭიერებით შესრულებულმა გმირებმა, რამაც ჩემი ისედაც დამწუხრებული განწყობილება უფრო დაამძიმა. თვალწინ წარმომიდგა თბილისის კინოსტუდიაში ცოცხლად ნანახი ჟორა შავგულიძე თავისი გამორჩეული გარეგნობით, იმერელი თავადის პეწით და მიხვრა-მოხვრით, გვერდზე მოგდებული შლაპით და აზიაცკებით, რომელიც ძალაუნებურად მიიქცევდა ნებისმიერი ადამიანის ყურადღებას. მისი პიროვნება დღესაც მახსენებს თავს და დიდი სინანული მეუფლება იმის გამო, რომ ეს ყველასთვის სათაყვანებელი მსახიობი უდროოდ, 49 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან. ხშირია, როცა ცნობილი ადამიანები ტრაგიკულად ასრულებენ თავიანთ სიცოცხლეს, მაგრამ გიორგი შავგულიძის შემთხვევა, ალბათ, განსაკუთრებულია, ის ხომ დღისით-მზისით, შუაგულ ქალაქში, ტროლეიბუსის მსხვერპლი შეიქნა. ამბობენ, რომ ტროლეიბუსის მძღოლი, რომელმაც შეიტყო, ვინ იყო გარდაცვლილი, ხმამაღლა მოთქვამდა და თავსდატეხილი უბედურების გამო მომხდარს სასტიკად განიცდიდა. ამასთან დაკავშირებით მეტად ამაღელვებელია ერთი ისტორია: დიდი ხნის შემდეგ, უკვე სასჯელმოხდილმა და გაჭაღარავებულმა ტროლეიბუსის მძღოლმა, როგორ წაიყვანა თავის სახლში გიორგის ვაჟი ნუკრი, სადაც მისი ოთახის კედლები ჟორა შავგულიძის სურათებით იყო სავსე და მუხლზე დამხობილი მოხუცი ქვითინით როგორ ითხოვდა პატიებას. ასეთებიც ხდება...

გიორგი (ჟორა) შავგულიძე ქუთაისში დაიბადა 1910 წელს. მამა ვლადიმერ შავგულიძე ქალაქის ფოსტის უფროსი იყო, დედა მარიამ კიკაბიძე — დიასახლისი. ოჯახი ბალახვანში, ყაზარმების მახლობლად, მოკრძალებულად ცხოვრობდა. ორივე დედამიშვილი გიორგი და მისი და ყაუხჩიშვილების სკოლაში მიაბარეს. თუმცა ჟორჟიკას (ასე უძახდნენ სკოლაში გიორგის) გაკვეთილებზე გაჩერება რთული და შეუძლებელი შეიქნა. ცელქი ახალგაზრდა ხშირად იქვე ახლო მდებარე ჯარისკაცების ყაზარმას სტუმრობდა და დიდი ინტერესით აკვირდებოდა სამხედრო ვარჯიშებს.

როგორც ამბობენ ხოლმე — საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდაო, სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ჟორა შავგულიძის შემთხვევაშიც. იმ დროს დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ქუთაისის დრამატულ თეატრში მოღვაწეობდა. ქუჩაში მოსიარულე რეჟისორი სრულიად მოულოდნელად წააწყდა ასეთ შემთხვევას: ქალაქის ცნობილი თეთრი ხიდის მოაჯირზე შემდგარმა ტანწერწეტა ახალგაზრდამ ხელები გაშალა და უმალ გადაეშვა მდინარე რიონის ტალღებში. ეს გიორგი შავგულიძე გახლდათ. მაშინ იგი 18 წლის იყო. ამან ისე აღაფრთოვანა მარჯანიშვილი, რომ უცნობი ახალგაზრდა თეატრში დაიბარა. და აი, აქედან დაიწყო შავგულიძის გრძელი შემოქმედებითი სამსახიობო საქმიანობა, 1928 წელს ქუთაის-ბათუმის თეატრის დასში ჩაირიცხა. პირველ ხანებში ეპიზოდურ როლებში თამაშობდა, ასე, მაგალითად, „ბეატრიჩე ჩენჩში“ ოფიცრის უსიტყვო როლი შეასრულა, სადაც ერთგან პოლონეზს ცეკვავდა ბეატრიჩესთან, მეორეგან კი ეშაფოტზე მიაცილებდა.

კოტე მარჯანიშვილი ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენის უბადლო ოსტატი იყო. მისმა განსაკუთრებით გამორჩეულმა ალღომ, ქართულ თეატრს უამრავი ბრწყინვალე მსახიობი შესძინა. მათ შორის უდავოდ გიორგი შავგულიძეცაა. რეჟისორი მას დიდი იმედით და რწმენით უმზერდა. ყველას მიმართ მომთხოვნი მარჯანიშვილი, ჟორას მიმართ უფრო დამთმობი იყო, ინტუიციით გრძნობდა, რომ მისი სახით ქართულ თეატრს უნიჭიერესი მსახიობი ეყოლებოდა. ამიტომ ხშირად მიმართავდა: „შენ თვითონაც არ იცი, რამდენი რამ მოუმადლებია შენთვის მამაზეციერს. ნიჭს გაუფრთხილდი, ნიჭს!“ დიდ რეჟისორს უნდოდა დაემსხვრია ზოგიერთი სკეპტიკოსის მოსაზრება შავგულიძის სუსტი სამსახიობო მონაცემების შესახებ. მას სურდა ყველა განეცვიფრებინა ახალი ტალანტის მოულოდნელი აღმოჩენით.



ჟორას რაიმე თეატრალური განათლება არ მიუღია, თუმცა მარჯანიშვილის სკოლაზე უკეთესი სად უნდა გაევლო? მისი თეატრალური აღმასვლა ყველას აკვირვებდა, თუ საიდან ჰქონდა ამდენი დაუოკებელი და ამოუწურავი ფანტაზია, როგორ ან რა გზით ახერხებდა სცენური ფერების გამოძერწვას და მის იმპროვიზაციას. „მის საშემსრულებლო ხელოვნებას, გარდა სამსახიობო ექსპრომტულობისა, გამუდმებით თან სდევდა სამი მუზა — მუზა სიმღერის, ცეკვისა და პოეზიისა, რომელსაც ოსტატურად იყენებდა სცენაზე. მისი თითქმის ყველა როლი დასრულებული ნახატი იყო, ღრმა მეტყველური შტრიხებით და დიდოსტატური მხატვრული ფერებით“, — წერს ნოდარ გურაბანიძე.

მარტო ნიჭიერება არ განსაზღვრავს შემოქმედის წარმატებას. მას თან უნდა ახლდეს დაუღალავი შრომა და საკუთარ თავზე მიზანმიმართული მუშაობა. სწორედაც რომ მხოლოდ ასეთი მიდგომით მიიღწევა სანუკვარი შედეგი. შავგულიძემ ზედმიწევნით კარგად იცოდა ეს აქსიომა, რომელსაც დიდი მონდომებით იცავდა. მის მიერ შესრულებულ როლებში აშკარად მოჩანს არა მარტო მსახიობური ტალანტი, არამედ გამორჩეული ინტუიცია, როლის გახსნის და გადმოცემის იშვიათი უნარი, ის, რაც ასე ხიბლავდა და ატყვევებდა მაყურებელს. ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავისი თვისებებით, ემოციითა და ტემპერამენტით სუფთა ქართული მოვლენა გახლდათ. ყოველ ახალ როლს დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს ეპიზოდური იყო თუ მთავარი. სპექტაკლის დღეს ყველაზე ადრე მიდიოდა თეატრში. იწყებოდა როლის შესატყვისი კოსტიუმის თუ გრიმის მორგების ხანგრძლივი პროცესი. უბრალო „ტელეგრეიკასაც“ და ფრაკსაც ერთნაირად იხდენდა. თეატრის მკერავები შეკლული ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ მის გარეგნულ იერსახეს ერთმნიშვნელოვნად განსაკუთრებული შნო და ლაზათი ახლდა. სცენაზე ლაღი და თავისუფალი, ცხოვრებაში მორიდებული და უპრეტენზიო იყო. როლი არასოდეს მოუთხოვია, როგორც ამას სხვები აკეთებდნენ. მისთვის უცხო იყო ინტრიგა, დაპირისპირება, შური და მტრობა. ყოველთვის ცდილობდა, ნეიტრალური პოზიცია ჰქონოდა ამა თუ იმ საკითხის, ან ეტაპისაც, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე უამრავი წინააღმდეგობა და შინაგანი ტკივილი განიცადა, რაც ასე მძაფრად აისახა მის პოეზიაში. იმდენად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ფილმში წარმოჩენილი ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობა, რომ იგი რამდენიმეჯერ ვნახე (არა მარტო მე). კარგა ხანს (ალბათ, დღესაც) გონებიდან არ გამოდიოდა შავგულიძის მიერ განსახიერებული გმირი, ჩვენი სათაყვანებელი პოეტი დავით გურამიშვილი და მის მიერ წუხილით, სევდით და განცდებით წარმოთქმული სიტყვები:

„...ქართლის ჭირსა ვერვინ
მოსთვლის, თუ არ ბრძენი,
ენა — მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გადაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის
კევრი...
მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრჟოლებს და ტანში
მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო,
აღმა მხვნელსა, დაღმა
მბარავს!...“

გენიალური პოეტი თავისი სტრიქონებით შთამბეჭდავად გადმოსცემს სულის ტკივილს, ღრმად განიცდის ქართლ-კახეთის შინააშლილობას და საკუთარ უბედობას. გიორგი შავგულიძის დავით გურამიშვილის ეს კინოსახე მიმაჩნია მისი შემოქმედების გვირგვინად. ამ როლისთვის მან სახელმწიფო პრემია მიიღო.

შავგულიძის ბუნება, მოწოდება და ტალანტი ერთფეროვნებას ვერ ეგუება, ქმნის როგორც დრამატულ, ასევე კომიკური სახის როლებს. მისი ფანტაზია და იმპროვიზაცია უსაზღვრო და ამოუწურავია. გავიხსენოთ ვახტანგ ტაბლიაშვილის უკვდავი მუსიკალური ფილმი „ქეთო და კოტე“, სადაც ქართული თეატრის ლამის მთელი თანავარსკვლავედი მონაწილეობს. ამ ფილმს არც დღეს აკლია მაყურებელი და დარწმუნებული ვარ, არც მომავალში განელდება მისდამი ინტერესი. აქ ორმა დიდმა მსახიობმა ვასო გოძიაშვილმა და ჟორა შავგულიძემ დაუვიწყარი სიკო და ნიკოს სახეები შექმნეს. საკმაოდ დიდხანს მეგონა, იმათ დუეტს ოპერის მომღერლები ასრულებდნენ. ჩემდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ დუეტს გოძიაშვილი და შავგულიძე მღერიან. ასეთია მისი ისტორია: სიკოს და ნიკოს კუპლეტები სიმფონიური ორკეტრის თანხლებით ოპერის მომღერლებს უნდა ჩაეწერათ. რეჟისორს საოპერო მომღერლების მიერ შესრულებული დუეტი არ მოეწონა, მას მეტი დამაჯერებლობა, იუმორი და სიკისკასე სჭირდებოდა. საჩვენებლად ორკესტრის თანხლებით ვასო და ჟორა ჩაწერეს. ექსპერიმენტმა გაამართლა, მათი ცეკვა და სიმღერა ფილმის ერთ-ერთ ყველაზე ამაღელვებელ ეპიზოდად ითვლება. ამ ორმა მსახიობმა საქოსა და ნიკოს გამოკვეთილი როლების შესრულებით მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული და აღიარება დაიმსახურა, ხოლო შავგულიძის „კინტოური“ ამ ფილმის გვირგვინად იქცა. ვასო გოძიაშვილი მას დაუღალავ და ნათელი ფანტაზიის მქონე დიდ არტისტს უწოდებდა: „სტანისლავსკიმ მსახიობის ხუთ გრძნობას მეექვსეც მიუმატა — ინტუიცია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგიმ მსახიობობის პირველი დღეებიდანვე თავის ლამაზ შემოქმედებაში ფართო სარბიელი გაუხსნა ამ ეგრეთ წოდებულ ინტუიციას“, — აცხადებდა იგი. მომდევნო პერიოდში შავგულიძემ კიდევ ორ ფილმში: „ბედნიერი შეხვედრა“ და „გაზაფხული საკენში“ მიიღო მონაწილეობა და შექმნა მეტად შთამბეჭდავი სახეები.

ბუნებით ხალისიან და მხიარულ გიორგი შავგულიძეს და მის მეუღლეს, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ ლიზა ვაჩნაძეს მთლად დალხენილი და იოლი ცხოვრება არ ჰქონდათ. მათი საცხოვრებელი პირობები კარგა ხანს გაუსაძლისი იყო. სამწუხაროდ, 6 წლის ასაკში ტყუპისცალიდან ერთი ვაჟიც გარდაეცვალათ. სამამულო ომის დროს ჟორა და ქალბატონი ლიზა რაიონებში სოფელ-სოფელ დადიოდნენ, კონცერტებს და პატარა სახუმარო წარმოდგენებს მართავდნენ საარსებო საშუალების მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, შავგულიძეს შემოქმედებითი ლტოლვა, ინტერესი და სურვილი არ განელებია, დიდი წარმატებით ქმნიდა დაუვიწყარ სახეებს თეატრსა თუ კინოში. 1955 წელს მას საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

1959 წელს ტრაგიკული და ბრმა შემთხვევის შედეგად ნაადრევად ამქვეყნიდან წასული უნიჭიერესი მსახიობი სრულიად საქართველომ დაიტირა. ამ მტკივნეულ რეალობას დაუვიწყარი სიტყვებით გამოეხმაურა პოეტი მიხეილ ქვლივიძე:

„რამდენი ჩვენგან წასული
კაცი, ვერ გადავიხდით
ვერასდროს ამაგს,
მაგრამ, ის ერთი სხვა იყო
მაინც, კაცი რომელიც
დააკლდა ქალაქს!“

გამორჩეული ნიჭიერების მქონე გიორგი შავგულიძის მიერ შექმნილი თეატრალური თუ კინოშედევრები დღესაც უდიდესი ინტერესით აგრძელებენ სიცოცხლეს...

გელა ქოქიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

◎ ძიუდო

სამეულის ერთი „ბრინჯაო“

მხოლოდ სამი ქართველი ფალავანი მონაწილეობდა ძიუდოისტთა ტოკიოს დიდ საერთაშორისო ტურნირში ძიგარო კანოს თასზე. ასპარეზობის პირველ დღეს ტატამზე გავიდა ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ). ძირითად ბადეში მან საუდის არაბეთის ნაკრების წევრ აბდულაზიზ ალბაშისა და პერუელ ხუან პოშტიგოსს იპონით სძლია, მერე თავად დამარცხდა იოშირო მარუიამასთან. დამამშვიდებლის ნახევარფინალში მსოფლიოს და ევროპის 2-გზის ჩემპიონს, უკრაინის სახელით მოჭიდავე გიორგი ზანთარაიას აჯობა, ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობა კი ნორიჰიტო იშოდასთან დათმო და მე-5 ადგილს დაყაბულდა. ამ შედეგით ქართველმა ძიუდოისტმა 360 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას ერთადერთი მედალი უშანგი მარგიანმა (90 კგ) მოუტანა. მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორმა ზედიზედ ორი მეტოქე დაჯაბნა – პერუელი იუტა გალარეტა ვილარი და მოლდოველი ეუგენ მატვეიჩუსი, მეოთხედფინალი ჩეხ დავიდ კლამერთან ვაზარით წააგო, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კანადელი ლუის კრიბერ განონი და ბრაზილიელი ედუარდო ბეტონი ჩამოიშორა გზიდან და „ბრინჯაოსთან“ ერთად 500 სარეიტინგო ქულაც ერგო.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის სამგზის ჩემპიონმა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს პრიზიორმა ვარლამ ლიპარტელიანმა სტარტზე რუსეთის ნაკრების წევრ ხაიბულა მაგომედოვს დამატებით დროში სძლია, მაგრამ მერვედფინალში იაპონელ კენტარო იიდას ვერ გასცდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

ერთეულებში უკეთ, ვიდრე წყვილებში

ესპანეთში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ეკატერინე გორგოძემ, რომელმაც ერთეულებში პირველი ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზი მოიპოვა. პირველ წრეში მან ესპანელ მარია გარსიას მოუგო

ისე, რომ მხოლოდ ერთი გეიმი დათმო – 6:1, 6:0, მომდევნო წრეშიც მასპინძელი მარისტანი დე რეალისი დაამარცხა – 6:4, 6:2, მერე ეკვადორელი შარლოტე როემერისა (6:0, 6:3) და ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტ იზაბელ ვალესეს (ავსტრალია, 6:4, 6:3) ჯერი დადგა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ჩვენებურმა ესპანელ ესტელა კაპეზა-კანდელას საათსა და 25 წუთში აჯობა – 6:0, 3:6, 6:1.

წყვილებში გორგოძე და ბერძენი დესპინა პაპამიჩელი მე-4 ნომრად იყვნენ განთესილი. პირველ წრეში მათ გუილერმინა ნაია (არგენტინა) და ბლანკა კავალიერო (ესპანეთი) ჩამოიშორეს გზიდან – 6:3, 6:1, მერე კატარინა გერლაჩი (გერმანია) და კლაუდია ჰოსტე ფერესი (ესპანეთი) არ გამოუცხადდნენ სათამაშოდ და ნახევარფინალში უბრძოლველად გავიდნენ. იქ კი პირველ ნომრად განთესილ იონე კავალე-რეიმერსისა (ესპანეთი) და ლუიზა სტეფანის (ბრაზილია) დუეტთან დამარცხდნენ – 5:7, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ტაქტიანი ბარ რაფაელი

უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე მთელი მსოფლიო იმაზე მსჯელობს და ფიქრობს, რა შედეგებით დასრულდება კატალონიაში ჩასატარებელი რეფერენდუმი და რა ზომებს მიიღებს ესპანეთის ხელისუფლება მეამბოხეთა თვალხილული სეპარატიზმის აღსაკვეთად.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ კატალონიის „ბარსელონას“ მთელს მსოფლიოში ჰყავს ქომაგად ცნობილი ადამიანები, რომლებმაც არ დაიზარეს და საჯაროდ გამოთქვეს აზრი, ეთანხმებიან თუ არა იქაური მოსახლეობის ნაწილის მოთხოვნებს და დაიჩაგრება თუ არა ამ ყველაფრით მათი საყვარელი გუნდი.

ერთადერთი, ვინც ამ ერთობ დელიკატურ პოლიტიკურ საკითხზე სიჩუმე არჩია, ცნობილი მოდელი ბარ რაფაელია, რომელიც კატალონიურ კლუბს კარგა ხანია ეტრფის და ქალაქი ბარსელონაც ნამეტნავად უყვარს, თუმცა, ებრაული წარმოშობის ლამაზმანს ეყო ტაქტი და დიპლომატიურობა და არ დაუჭირა მხარი იმას, რაც ბორის ჩოჩიევის ულვაშებზეც წერია.

როსტომ რაჭველიშვილი

საფეხბურთო მოზაიკა

მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, ეკატერინბურგი, როსტოვი, სოჭი, სამარა, ვოლგოგრადი, კალინინგრადი, ყაზანი, სარანსკი და ნიჟნი ნოვგოროდი – ეს ის ქალაქებია, სადაც გაისად ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრები გაიმართება.

მომავალი ფორუმის ჯგუფური რაუნდის კენჭისყრას კრემლმა უმასპინძლა, თუმცა, რუსეთის დედაქალაქში აღსანიშნავი სხვაც არაერთი მოხდა. თუნდაც დიეგო მარადონასა და პელეს ჩახუტება რად ღირს, რასაც, მათი რძალ-დედამთილური ურთიერთობის გათვალისნინებით, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე.

რაც შეეხება ღონისძიების სპორტულ მხარეს, მართალია, ამჯერად სიკვდილის ჯგუფი არ შექმნილა, მაგრამ, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, თვალსასეირო ჩვენს მეზობლად ძალიან ბევრი მოხდება.

შეგახსენებთ, რომ ერთთვიანი მუნდიალ – 2018 14 ივნისს დაიწყება და 15 ივლისს დასრულდება.

„ა“ ჯგუფი. რუსეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ურუგვაი.

„ბ“ ჯგუფი. პორტუგალია, ესპანეთი, მაროკო, ირანი.

„გ“ ჯგუფი. საფრანგეთი, ავსტრალია, პერუ, დანია.

„დ“ ჯგუფი. არგენტინა, ისლანდია, ხორვატეთი, ნიგერია.

„ე“ ჯგუფი. ბრაზილია, შვეიცარია, კოსტა რიკა, სერბეთი.

„ვ“ ჯგუფი. გერმანია, მექსიკა, შვედეთი, კორეა.

„ზ“ ჯგუფი. ბელგია, პანამა, ტუნისი, ინგლისი.

„თ“ ჯგუფი. პოლონეთი, სენეგალი, კოლუმბია, იაპონია.

დავძენთ, რომ მერვედფინალები 30 ივნისს 1, 2 და 3 ივლისს გაიმართება, მეოთხედფინალები – 6 და 7 ივლისს, ნახევარფინალები – 10 და 11 ივლისს, მატჩი III ადგილისათვის – 14 ივლისს სანკტ-პეტერბურგში, ხოლო ფინალური შეხვედრა – 15 ივლისს მოსკოვის „ლუჟნიკებში“.



***

საჩხერის „ჩიხურა“ დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის მფლობელი მესამე ცდიდან პირველად გახდა. სოსო ფრუიძის გუნდმა გორში გამართული იმერული დერბი ქვეყნის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს“ პენალტების სერიით მოუგო (ძირითადი დრო – 0:0). აღსანიშნავია, რომ ქუთაისელებს ძირითად დროში მიეცათ დაწინაურების რეალური შანსი, მაგრამ კუხიანიძემ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ბურთი კარის ზედა ძელს მოახვედრა.

***

იტალია. „ნაპოლი“ – „იუვენტუსი“ 0:1, „ინტერი“ – „კიევო“ 5:0, „რომა“ – „სპალი“ 3:1, „ბენევენტო“ – „მილანი“ 2:2.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „სელტა“ 2:2, „სევილია“ – „დეპორტივო“ 2:0, „ბილბაო“ – „რეალი“ 0:0, „ატლეტიკო“ – „სოსიედადი“ 2:1.

ინგლისი. „სიტი“ – „ვესტ ჰემი“ 2:1, „არსენალი“ – „მანჩესტერი“ 1:3, „ჩელსი“ – „ნიუკასლი“ 3:1, „ბრაიტონი“ – „ლივერპული“ 1:5.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ჰანოვერი“ 3:1, „ლეერკუზენი“ – „დორტმუნდი“ 1:1, „ჰოფენჰაიმი“ – „ლაიფციგი“ 4:0, „შალკე“ – „კიოლნი“ 2:2:.

საფრანგეთი. „სტრასბურგი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:1, „კაენი“ – „ლიონი“ 1:2, „მონაკო“ – „ანჟერი“ 1:0, „მონპელიე“ – „მარსელი“ 1:1.

გიორგი ზოთაძე

ეპიტაფია

ალბერტ ზარნაძე –

კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას

მოულოდნელად გარდაიცვალა რუსეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ეკონომისტი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერების, საერთაშორისო ორგანიზაციულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, რუსეთის ფედერაციის მართვის აკადემიაში სადოქტორო საბჭოს თავმჯდომარე, საზოგადო მოღვაწე და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი **ალბერტ ალექსანდრეს-ძე ზარნაძე.**

ალბერტ ზარნაძე დაიბადა ტრადიციულ ქართულ, საქართველოს დამსახურებული პედაგოგების ალექსანდრე ზარნაძისა და ნინო გაბიტაშვილის ოჯახში, სადაც სუფევდა პატიოსნების, სიკეთის და მამულის სიყვარულის იდეალები. სწორედ მათ განაპირობეს ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც ერთ ოჯახში ორი ცნობილი დოქტორი, პროფესორი გაიზარდა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ალბერტ ზარნაძემ უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა ეკონომიკის ინსტიტუციონალური თეორია, ეკონომიკის სისტემურობა და მთლიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობის თეორია. მის კალამს ეკუთვნის ასამდე მეცნიერული ნაშრომი, მონოგრაფიები და სასწავლო სახელმძღვანელოები. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მან მრავალ ქართველ ასპირანტსა და დოქტორანტს გაუკვალა გზა ეკონომიკურ მეცნიერებაში. ალბერტ ზარნაძის შრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „მართვის ინსტიტუციონალური პარადიგმა“, „ეკონომიკური ეფექტიანობის სტრატეგიული დაგეგმვის ინსტიტუციონალური თავისებურებები“, „თანამედროვე გლობალური ეკონომიკის მართვის სისტემურობა და მთლიანობა“. ამ უკანასკნელმა შრომამ სამეცნიერო ეკონომიკური საზოგადოების დიდი აღიარება მოიპოვა.

ალბერტ ზარნაძემ შექმნა ჭეშმარიტად ქართული ოჯახი, მას შეეძლო, ეამაყა თვისი შვილებით ზურა და ნინო ზარნაძეებით, რომლებიც აკადემიური დოქტორები არიან, თავისი მეუღლით, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული კარდიოლოგით, ქალბატონი გიული გედევანიშვილით.

მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ქართულ საზოგადოებასთან, ქართველ მეცნიერ ეკონომისტებთნ და თავის მეგობრებთან. ზემოაღნიშნულის დასტური იყო მისი ხშირი შეხვედრები ქართველ კოლეგებთან. ამ ბოლო დროს მან სპეციალურად გააკეთა მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და ამით სიმბოლურად გამოეთხოვა თვის ქართველ კოლეგებს.

ამ ცხოვრებიდან წავიდა ღირსეული კაცი, რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა ამქვეყნიურ ცხოვრებაში და ვალმოხდილი შეუერთდა მარადისობას. სწორედ ასეთ პიროვნებებზეა ნათქვამი, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. ბრძენ კაცს დაუმატებია,“ ქვიშაც წავა და წამოვა ოქრონი დარჩებიანო“. მარადიული ხსოვნა მას, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

ალბერტ ზარნაძის სამეცნიერო კოლეგები და მეგობრები.

სანთელი

თსსუ-ს იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი უღრმესი გულისტკივილით იუწყება ნათია საყვარელიძის ვაჟის, ჩვენი საყვარელი მეგობრის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის გულანთებული ახალგაზრდა თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლის, უბადლო ყმაწვილის

ლევან დადუნაშვილის

ტრაგიკულ დაღუპვას. თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ჯგუფური ყაჩაღობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1995 წელს დაბადებული ნ.გ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თანამზრახველთან ერთად ქალაქ გორში სლოტ-კლუბი გაძარცვა, 1650 ლარი გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ნ.გ.-ს პირადი ჩხრეკისას, გატაცებული თანხის ნაწილი, დანა, სამედიცინო ხელთათმანები და პირბადე ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე, ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – შავი ფერის 2 სანთებელა-პისტოლეტი.

თანამზრახველის დადგენა-დაკავების მიზნით მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები.

უნივერსიტეტის ყალბი დიპლომი – 2600 დოლარად

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე ბრალდებულის სახით ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა პირმა, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დაამზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი ყალბი დიპლომი, რომელიც შემდგომში ერთ - ერთ მოქალაქეზე 2 600 აშშ დოლარად გაასაღა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 6 წლამდე ვადით.

◎ თბილისი და თბილისელები

შეჩერებული დროის პერფომანსი, ნაწილი IV

მრავალი წელია, არ მახსენდება თბილისში მომხდარი მეტ-ნაკლებად ღირსშესანიშნავი მოვლენა – თეატრალური პრემიერა, ვერნისაჟი, სასიქადულო მეცნიერის თუ ხელოვნის იუბილე, სამეცნიერო თუ კულტურული ცენტრის გახსნა, მისი აქტიური მონაწილე, უკლებლივ ყველა თაობის დედაქალაქელისთვის საყვარელი კაცი დემიკო ლოლაძე რომ არ ყოფილიყოს თავისი განუყრელი ფოტოაპარატით.

სწორედ დემიკო ლოლაძის დაუშრეტელი ენერგიისა და დიდი მონდომების, დაკვირვებული ფოტოხელოვანის გულისყურიანი ხედვის წყალობითაა, რომ ჩვენი დროის ქართული საზოგადოების უამრავ გამორჩეულ პიროვნებასა და ასევე არაერთ ნარჩევ „რიგით ჯარისკაცს“ კარგა ხანია, „ერთ ჭერქვეშ აქვთ დადებული ბინა“, რომელსაც ღირსშესანიშნავი ფოტოალბომის „დრო და ადამიანების“ სახე აქვს მიცემული.

დარწმუნებული ვარ, ბევრი თბილისელი – და არა მარტო დედაქალაქელი, – ამ უაღრესად საგულისხმო სერიის წინა სამ წიგნს იცნობს, ახლახან კი მისი მეოთხე ნაწილიც გამოვიდა და, რამდენადაც ვიცი, სამომავლოდ კიდევ ერთი ნაწილის გამოცემის პროექტიც არსებობს.

„დროსა და ადამიანებზე“ პირადად იმდენი მაქვს ნათქვამი, რომ ამ ჯერზე ახალს ბევრს ვერაფერს შევმატებ, თანაც ჩვენი საზოგადოების საამაყო წარმომადგენლებს – არიან ისინი თბილისელები, ბათუმელები, ქუთათურები თუ სხვა კუთხის შვილები, – მათი შესანიშნავი პორტრეტები თავად წარმოაჩენენ. იმას კი ვიტყვი, რომ ძალზე შთამბეჭდავია დემიკო ლოლაძის თვალით დანახული მოვლენათა უბრალო ჩამონათვალიც კი. მათ შორისაა მურად ანჯაფარიძის, დოდო ჭიჭინაძის, ნოდარ ანდღულაძის, მანანა ჩიტიშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, რობერტ შავლაყაძის, ლერი გოგოლაძის, რეზო ჭეიშვილის, იმედა კახიანის, მურმან ჯინორიას, დავით კვირცხალიას, რევაზ მახვილაძის, ზაალ ბოტკოველის, ბადრი ვადაჭკორიასა და კიდევ მრავალი სხვა ჩვენი თანამემამულის საიუბილეო თარიღების აღნიშვნისა და ვარსკვლავების გახსნის ცერემონიების ამსახველი, ასევე კიდევ სხვა არანაკლებ ცნობილი პიროვნებების წლების მანძილზე გადაღებული ფოტოები, თეატრალური სპექტაკლების, წიგნების, სამხატვრო ალბომების წარდგენის, ან კიდევ უბრალოდ დასვენების თუ მოცალეობის ჟამის ამსახველი კადრები.

ყველაფრის ჩამოთვლა, ცხადია, შეუძლებელია, თუმცა კი ერთ გარემოებას მაინც საგანგებოდ მინდა გავუსვა ხაზი. ალბომის მეოთხე ნაწილში მკითხველი მრავალი, აწ უკვე გარდაცვლილი ჩვენი საამაყო თანამემამულის ცხოვრების სხვადასხვა მომენტის „შეჩერებულ წამებს“ იხილავს, რომელთაც ამ ღირსშესანიშნავი გამოცემის ხილვა არ დასცალდა. ამდენად, ეს წიგნი მათ ერთგვარ ეპიტაფიადაც შეიძლება აღვიქვათ, რის თაობაზე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა მოვახსენო ჩემს უძვირფასეს მეგობარს დემიკო ლოლაძეს.

ოთარ ტურაბელიძე

ბოლოთქმის მაგიერ: „დრო და ადამიანების“ მეოთხე ნაწილიც, წინა სამის მსგავსად, არაჩვეულებრივი შინაარსისა და ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიისთვის განუმეორებლად მნიშვნელოვანი ფოტოალბომი რომ არის, ამაში მნახველი თავადაც დარწმუნდება, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მწირი ტირაჟის გამო მის შეძენას ბევრი ვერ შეძლებს, რაც დიდად დასანანია. თუმცა კი იმედს გამოვთქვამ, რომ მეხუთე ნაწილს სხვა ბედი ეწევა და საკუთარი წიგნის თაროზე შემოდებას გაცილებით მეტი ხალხი შეძლებს.

აუცილებლად მიმაჩნია ასევე „დრო და ადამიანების“ მორიგი ტომის გამოცემაში ბატონების ავთანდილ წერეთლისა და მამუკა ხაზარაძის დიდი ღვაწლის აღნიშვნა, რომელთა გარეშე ფოტოალბომი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

ო. ტ.

სამცხე-ჯავახეთში უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიმდინარე წლის ნოემბერში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე 19 პირი გამოავლინეს, ხოლო ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტზე 4 პირი ამხილეს.

სამართალდამცველებმა ბორჯომის, ადიგენის და ახალციხის რაიონებში, მხილებულების ავტომანქანებიდან უკანონოდ მოპოვებული ხის მრგვალი მორები და სამასალე ფიცრები ამოიღეს. პოლიციამ გამოვლენილი 15 ავტომანქანა და არალიცენზირებული 4 სახერხი საამქრო დალუქა.

ვულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის მშენებელთა ძველი პლეადის გამოჩენილ წარმომადგენელს, საკავშირო საამშენებლო სამმართველოს ყოფილ თავკაცს, მეგობრობისა და ძმობის ტრფიალს, კეთილშობილ პიროვნებას, ბატონ

ომარ ცაავას.

ენერგეტიკოსთა პროტესტი

ნგრევა ადვილია...

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი, თავისი 300-მდე წევრის სახელით (აკადემიკოსები, პროფესორები, ღვაწლმოსილი და გამოჩენილი ენერგეტიკოსები, მათ შორის დარგის ყოფილი ხელმძღვანელები) განცვიფრებას გამოვხატავთ ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით. გაუქმებული სამინისტროების აწ უკვე ყოფილი მესვეურები მრავალ არგუმენტს მოიყვანენ მათი უწყების გაუქმების საწინააღმდეგოდ (და, ალბათ, ბევრი მათ შორის შეიძლება მართლაც გასათვალისწინებელი იყოს...), მაგრამ გაუქმება უწყების, რომელიც ყველა დროსა და ყველგან პირველთაგანია და მასზეა დამოკიდებული ქვეყნის სხვა დარგების განვითარება და, საერთოდ, აქედან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, წარმოუდგენელია!

სანამ გვიანი არ არის, იქნებ გადაიხედოს ხელისუფლების ეს რადიკალური გადაწყვეტილება, მით უმეტეს ამ სამინისტროს აპარატი მინისტრიდან დამლაგებლამდე, 80-მდე თანამშრომელს მოიცავს, მათი გაუქმებით რა ეკონომია იქნება ასეთი, რომელიც გადაფარავს იმ მძიმე სურათს, რასაც გაუქმება გამოიწვევს – ამის მოწმენი სულ მალე გავხდებით!

ჩვენი აზრით, ნაჩქარევი და არასწორი გადაწყვეტილებაა!!!

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი

„არამკითხე“ შლიმანი

მეცნიერებასა და ხელოვნებაში არაპროფესიონალთა მიერ შეტანილი წვლილის შესახებ უამრავი რამაა ნათქვამი და დაწერილი. ეს, როგორც ჩანს, იმით აიხსნება, რომ თითქოსდა ანბანურ ჭეშმარიტებებს, გარკვეულ მიმდინარეობებს, ტენდენციებსა და დოგმებს ისინი განსხვავებული კუთხით უდგებიან და... სასწაულიც მაშინ იწყება.

მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება: არაპროფესიონალი იყო გამოჩენილი მათემატიკოსი **ენრიკო ფერმი** – იგი სასამართლოს მოხელე გახლდათ, მწერალი **დანიელ დეფო** – სპეცსამსახურის თანამშრომელი და, ასე განსაჯეთ, საქვეყნოდ ცნობილი ინგლისის დაზვერვის ინტელიჯენს სერვისის შემქმნელი, კომპოზიტორი **ალექსანდრე ბოროდინი** – გამოჩენილი ქიმიკოსი, თანამედროვე „საველე არქეოლოგიის“ მამა, ლეგენდარული ტროიას ნანგრევების აღმომჩენი ჰენრიჰ შლიმანი კი – წარმატებული ბიზნესმენი, ფათერაკების მაძიებელი და ენთუზიასტი ისტორიკოსი.

ჰომეროსის „ილიადა“ შლიმანმა სიყმაწვილეში წაიკითხა და მისი გზამკვლევად გამოყენების აზრი დაებადა. თურქეთში ექსპედიცია კი, რომლის დროს ბორცვ ჰისარლიყის გათხრისას ტროას ნანგრევებს მიაგნო, მან საკუთარი სახსრებით დააფინანსა. შლიმანმა ნაგებობების უამრავ ფრაგმენტს და ოქროს განძსაც კი მიაგნო, რომელსაც „მეფე პრიამის საგანძური“ უწოდა, ისტორიაში მოხვდა და... თანამედროვე არქეოლოგთა რისხვა და ლანძღვა-გინება დაიმსახურა! ისინი მას „ვანდალს“, „უვიც დილეტანტს“ და „კუბოთამომთხრელსაც“ კი უწოდებენ, რომელმაც სამუდამოდ გაანადგურა არქეოლოგიის ისტორიაში ყველაზე ფასეული აღმოჩენა.

შლიმანი, ალბათ, დიდად ნაწყენი იყო ამით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ტროას გათხრები უაღრესად არაპროფესიულად და ზერელედ ჩატარდა, თუმცა კი არქეოლოგები იმედს არ კარგავენ, რომ „რაღაც-რაღაცები“ იქ კიდევ დარჩა მისაგნები...

ალპინისტური ახალგაზრდობის „ექო“

95 წლის მოსკოველმა ტატიანა პეტროვამ, რომელიც მრავალსართულიანი სახლის მე-7 სართულის ბინაში მარტო დარჩა, გარეთ გასეირნება გადაწყვიტა, მაგრამ კარის გასაღებს რომ ვერ მიაგნო, კარნიზით... მეზობლის ბინაში გადავიდა(!).

თურმე, ახალგაზრდობაში ხანდაზმული ქალბატონი ტურიზმითა და ალპინიზმით ყოფილა გატაცებული.. ამიტომაც იყო, რომ ორ ათეულ მეტრზე მეტ სიმაღლეზე ვიწრო კარნიზით გავლას იგი არ შეუშინდა, თუმცა კი პოლიციის მიერ გამოძახებულ მაშველებთან ბოდიშის მოხდა მოუწია, მადლიერების ნიშნად კი ლექსები წაუკითხა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადის ექიმს ქალბატონ ტატიანას ფიზიკურ მდგომარეობაში არანაირი ცვლილება არ დაუდგენია.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მიზეზი

უფროსმა ხელქვეითებს მიმართა:

— ვინმეს ფანქრის სათლელი ხომ არა გაქვთ? დღეს სხვა პიჯაკი ჩავიცვი და ჯიბიდან ამოღება დამავიწყდა.

ფანქრის სათლელი შიკრიკის გარდა არავის აღმოაჩნდა, და გაუწოდა.

— მართლაც შეუფასებელი კაცი ხარ, — უთხრა უფროსმა, — ყოველთვის ყველაფერი თან გაქვს.

— უბრალო ამბავია, — მიუგო შიკრიკმა, — მე მხოლოდ ერთადერთი პიჯაკი მაქვს.

ლექცია

ძმარი ცოლს მანქანის მართვას ასწავლის. ცოლი საჭეს მიუჯდება და ეკითხება:

— აბა, მითხარი, რა უნდა ვქნა?

— სულ უბრალო საქმეა, — განუმარტა ქმარმა, — თუ შუქნიშანი მწვანეა — მიდიხარ, თუ შუქნიშანი წითელია — ჩერდები, ხოლო თუ მე ფერი დავკარგე, ეგრევე ამუხრუჭებ.

დიეტა

დედა ცდილობს შვილის დაყოლიებას:

— შენთვის წვნიანი აუცილებელია, ვინც წვნიანს არ ჭამს, ხომ იცი, რაც მოსდის?

— ვიცი, მანეკენი ხდება.

ახალი ძამიკო

პატარა იანი მამასთან ერთად სამშობიაროში წავიდა, რათა ახალი ძამიკო ენახა. სანიტარ ქალს გამოჰყავს ჩვილი, რომელსაც ხელზე ნომერი უკეთია.

— უყურე, მამიკო, — ამბობს პატარა იანი, — სულ ახალთახალია, ფასიც კი ჯერ არ მოუხსნიათ.

XX საუკუნის ბავშვები

მუზეუმში ორი ბიჭი მუმიას ათვალიერებს და ყურადღებას მიაქცევენ აბრას, რომელზეც წერია: „2450.P.X“

— ეს რას ნიშნავს? — ეკითხება ერთი ბიჭი მეორეს.

— შენცა ხარ, რა! — დამცინავად ეუბნება მეორე, — უბრალო ამბები არ იცი! ეს იმ ავტომობილის ნომერია, რომელმაც მუმიას გადაუარა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7085; ევრო - 3.2256;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6557;
100 რუბლი - 4.6188; თურქული ლირა - 0.6868;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5952;
1000 სომხური დრამი - 5.5926.

ამინდი 6 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge